კვირეული ბეჭდვითი „ვერსია“ ერთი

ვერსია

№32 (1673) 30 აგვისტო — 5 სექტემბერი ოთხშაბათი 2023 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

ენერგეტიკის ფართომასშტაბიანი რეფორმა ენერგოუსაფრთხოების გასაძლიერებლად



ენერგეტიკა, კავშირგაბმულობა და საინფორმაციო ტექნოლოგიები პრემიერ-მინისტრის ყოველწლიურ ანგარიშში

ძალადობა... უიღბლო ვარსკვლავზე დაბადებულ კონსტიტუციაზე

ქვეყნის უმაღლესი კანონის 28-წლიანი შავ-თეთრი ბიოგრაფია

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

ზარი საიქიოდან

როგორ მიიყვანა გერმა დედინაცვალი თვითმკვლელობამდე – მისტიკური კრიმინალური ამბავი

სერიული ქურდობები თბილისში

როგორ გახდა უნიჭიერესი სტუდენტი დანაშაულებრივი ჯგუფის მეკავშირე

ძალადობა... უიღბლო ვარსკვლავზე დაბადებულ კონსტიტუციაზე

ვანო პავლიაშვილი

ქვეყნის უმაღლესი კანონის 28-წლიანი შავ-თეთრი ბიოგრაფია

ჯერ სრულიად ახალგაზრდაა – წინა კვირას 28 წლის გახდა, მაგრამ ამის მიუხედავად, არაერთი ძალადობის მსხვერპლია. დაბადებაც ძალადობრივი იყო ანუ რამდენიმე დღის იქნებოდა, როცა დედაქალაქის შუაგულში ტერაქტი მოხდა – ქვეყნის მაშინდელი პრეზიდენტი ააფეთქეს, ედუარდ შევარდნაძე ახალშობილის ნათლობაზე, ესე იგი, კონსტიტუციის ხელმოწერის საზეიმო ცერემონიალზე მიდიოდა... მას შემდეგ 28 წელი გავიდა, 28 მძიმე, იდუმალებით მოცული და საინტერესო წელიწადი... ზოგადად, კონსტიტუცია ქვეყნის უმაღლესი კანონია. ამიტომაც იმსახურებს, რომ მისი 28-ე დაბადების დღე თუნდაც საარქივო მასალით აღვნიშნოთ. მაშ, ასე, „ვერსია“ ჩვენი ბედკრული და ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის კონსტიტუციის შავ-თეთრ ბიოგრაფიას წარმოგიდგენთ.

* * *

ის ძალადობის მსხვერპლია. მასზე ძალადობს ყველა, ვისაც არ ეზარება და ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ისინიც კი, რომლებიც დაცვას ცდილობენ, მოძალადეებად გვევლინებიან. ძალადობა მრავალგვარია – სიტყვიერიდან დაწყებული, ფიზიკურით დამთავრებული... სამართლიანობისთვის ერთიც უნდა ითქვას: მასზე ძალა ჯერ კიდევ მუცლადმყოფობისას გამოიყენეს. დიახ, ვიღაცებს, ესე იგი, პოლიტიკურ დემონებს უნდოდათ, რომ არ დაბადებულიყო და პოლიტიკურ აბორტს მიმართეს, მაგრამ არსთაგამრიგის ნებას წინ ვერ აღუდგნენ: მაინც იშვა, იშვა და... 28 წელია, არსებობისთვის იბრძვის... დღესაც, ათასჯერ შეურაცხყოფილი და ნაცემ-ნაგვემი, ხელოვნურ სუნთქვაზეა...

საკონსტიტუციო ლაბირინთებში გარკვევა არცთუ მარტივია, მაგრამ ხომ იცით, ცდა ბედის მონახევრეა. ჰოდა, ჩვენი გამოცემაც შეეცდება, რომ თვითმხილველების მონათხრობზე, არქივსა და ინტერნეტმასალებზე დაყრდნობით, მრავალტანჯული ქართული კონსტიტუციის ალგორითმი გაშიფროს, ესე იგი, გაარკვიოს, ყველა ხელისუფალი რატომ ცდილობს, რომ კონსტიტუცია საკუთარ ტანზე მოირგოს? არ დაგიმალავთ: ეს მისია არცთუ მარტივია, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ შეუსრულებელი მისია არ არსებობს. ჰოდა, სააშკარაოზე ის დეტალები და კულუარული ნიუანსები გამოაქვს, რომელთა არსებობაც აღარავის ახსოვს. ვინ იცის, ეგებ, სწორედ ეს X-ფაილი აღმოჩნდეს ის ელექსირი, რომელიც ქვეყნის უმთავრეს კანონს კომიდან გამოიყვანს!..

პრეისტორია

ყველაფერი 30 წლის წინ, კერძოდ, 1993 წლის 26 თებერვალს, დაახლოებით, ასე დაიწყო: საქართველოს მაშინდელი პირველი პირი, ედუარდ შევარდნაძე, რომელიც იმავდროულად, პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობასაც ასრულებს, საკანონმდებლო ორგანოს წინადადებით მიმართავს, რომ სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია შექმნას, რომელიც სახელმწიფოს ახალ ძირითად კანონს კი არ შეიმუშავებს, არამედ, 1921 წლის კონსტიტუციის ახალი რედაქციის პროექტს მოამზადებს. დაახლოებით, ერთ თვეში ანუ 1993 წლის 25 მარტს, ე.წ. იმელის პარლამენტი სპეციალურ დადგენილებას იღებს, რომლითაც სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია იქმნება, მის თავმჯდომარედ დეპუტატები, ცხადია, ედუარდ შევარდნაძეს ირჩევენ, მოადგილეებად კი – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანს, სამართლის თეორიისა და სახელმწიფო სამართლის კათედრის გამგეს, პროფესორ გივი ინწკირველსა და ვახტანგ ხმალაძეს. კომისიის მდივანი თსუ-ს პროფესორი ავთანდილ დემეტრაშვილი ხდება. საკონსტიტუციო კომისიაში სულ 118 ადამიანია – პარლამენტარები, იურისტები, ეკონომისტები, ისტორიკოსები, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი და აკადემიკოსები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები... ისე, დღევანდელი გადასახედიდან თუ ვიმსჯელებთ, ქართულ კონსტიტუციას ავთანდილ დემეტრაშვილსა და ვახტანგ ხმალაძეზე, როგორც იტყვიან, ჯვარი აქვს დაწერილი: 2009 წლის 8 ივნისის საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განკარგულებით, ბატონი დემეტრაშვილი სახელმწიფო საკონსიტიტუციო კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნება. რაც შეეხება ვახტანგ ხმალაძეს, შეიძლება, ოფიციალური სტატუსი დღეს არ აქვს, მაგრამ როგორც კულუარებში ამბობენ, „ოცნების“ მთავარი საკონსტიტუციო მრჩეველია. არადა, საქმეში ჩახედულთა შეფასებით, ამ ქვეყანაში ხმალაძეზე უკეთესი კონსტიტუციონალისტებიც არსებობენ. ყოველ შემთხვევაში, კონსტიტუციის X-ფაილზე მუშაობისას, ერთ-ერთმა პიროვნებამ, რომელიც ქართულ პოლიტიკას 90-იანი წლებიდან სწავლობს, „ვერსიას“ რიტორიკულად უთხრა: ვიდრე ხმალაძე ყველა დროსა და ეპოქაში ქვეყნის უმაღლესი კანონის ხან „მამის“ როლს შეასრულებს და ხანაც – „მამობილის“, პირადად მე, არ მგონია, საუკეთესო კონსტიტუცია მივიღოთო (!). ისე, ჩვენთვის რომ ვთქვათ, მართლაც, უცნაურია: ყველა ხელისუფლება აზრს იმ კონსტიტუციონალისტს ანუ ამ შემთხვევაში, ხმალაძეს რატომ ეკითხება, რომლის თანამონაწილეობითაც შექმნილი კონსტიტუცია, 28 წლის განმავლობაში, მილიონჯერ შეიცვალა? შეიძლება, ბატონი ხმალაძე თავის საქმეში ვარსკვლავებს ეთამაშება, მაგრამ ამ კითხვას არსებობის ლეგიტიმური უფლება აქვს ანუ თუკი თავის დროზე, მისი თანამონაწილეობით ისეთი უმაღლესი კანონი იქნა მიღებული, რომელმაც 20 ათეულ წელსაც ვერ გაუძლო, ვიღაცებს რატომ ჰგონიათ, რომ მისი რეკომენდაციებით შეცვლილი დღევანდელი კონსტიტუცია სამარადჟამოდ იარსებებს? სხვათა შორის, ამ კონტექსტში, ბატონ ხმალაძეს კითხვა ერთმა-ერთმა ქართულმა გამოცემამ დაუსვა. ინტერვიუში, რომელიც, დაახლოებით, ორი თვის წინ გამოქვეყნდა, ვკითხულობთ:

„... – შეცდომა მაშინ იყო დაშვებული, როცა 1995 წელს, კონსტიტუციაში ჩაიწერა, პრეზიდენტი პირდაპირი გზით აირჩევაო. შეცდომის გამოსწორება კი ყოველთვის რთული და ძნელია, ვიდრე – შეცდომისგან თავის დაცვა.

– პრეზიდენტის პირდაპირი გზით არჩევა შეცდომა რატომაა?

– ის პროექტი, რომელიც 1995 წელს, საკონსტიტუციო კომისიამ პარლამენტს წარუდგინა, ჩემი აზრით, აბსოლუტურად მიუღებელი და რუსული მოდელი იყო. მოკლედ, ერთ-ერთი პირველი საკითხი, რომელსაც მაშინ პარლამენტმა კენჭი უყარა, პრეზიდენტის არჩევის წესი იყო. მახსოვს, მაშინ დავა ორ – ამ რუსულ და საპარლამენტოსთან ძალიან ახლოს მდგარ, დაახლოებით, ხორვატიის მოდელს შორის მიდიოდა.

– ქვეყნის მოწყობის რუსული მოდელი იმას ნიშნავს, რომ პრეზიდენტიც ძლიერია და საკანონმდებლო ორგანოც?

– არა, არა. მართალია, ეს სხვა თემაა, მაგრამ მაინც გეტყვით: რუსები ამბობენ, ეს ფრანგული მოდელიაო, მაგრამ პირადად მე, ფრანგი კონსტიტუციონალისტების, მათ შორის, რუსეთში გამოქვეყნებული წერილი მაქვს წაკითხული, სადაც ნათქვამია, ეს ფრანგული მოდელი არაა და ტყუილად ნუ ამბობთო. ფრანგული მოდელით, აღმასრულებელი ხელისუფლება პრეზიდენტსაც აქვს და მთავრობასაც, ოღონდ მკაფიო ზღვარი, თუ რა უფლებები აქვს პრეზიდენტს და რა – მთავრობას, გატარებული არაა.

რეალობა კი ასეთია: თუკი პარლამენტში თავისი უმრავლესობა აქვს, მაშინ აღმასრულებელი ხელისუფლების რეალური ხელმძღვანელი პრეზიდენტია, პრემიერ-მინისტრი კი უკანა პლანზე დგას. იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტში უმრავლესობა პრეზიდენტს კი არა, პრემიერს აქვს, მაშინ მათი ადგილები იცვლება, ანუ აღმასრულებელი ხელისუფლება პრემიერის ხელში გადადის, პრეზიდენტი კი უკანა პლანზე ინაცვლებს.

ფრანგულისგან განსხვავებით, რუსული მოდელი იმის საშუალებას იძლევა, რომ ქვეყნის რეალური ხელმძღვანელი ან პრემიერი იყოს, ან პრეზიდენტი და ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ ამ თანამდებობებზე ვინ არის. თუ ბოლო ათწლეულს გადავხედავთ, რუსეთში პირველი პირი ყოველთვის პუტინია, მიუხედავად იმისა, მას პრეზიდენტის პოსტი უკავია, თუ პრემიერის.

– საქართველოზე რას იტყვით, ბატონო ვახტანგ?

– მოდელი, რომელიც 1995 წელს შემოიტანეს, ასეთი იყო: რუსულის მსგავსად, პრეზიდენტს ძალიან ბევრი უფლება ჰქონდა, მაგრამ პასუხისმგებლობა არ ეკისრებოდა და განტევების ვაცი ყოველთვის მთავრობა იქნებოდა. ამ ფონზე, ძალიან მნიშვნელოვანი იყო, თუ როგორი იქნებოდა პრეზიდენტის არჩევის წესი. კენჭისყრისას უპირატესობა, როგორც მახსოვს, სულ რაღაც ორი ხმით პრეზიდენტის პირდაპირი არჩევით წესს მიეცა. ბოლოს, ერთი მოდელიც შეიცვალა, მეორეც და საპრეზიდენტო რესპუბლიკა მივიღეთ.

საერთოდ, საპრეზიდენტო რესპუბლიკაში პრეზიდენტი, მართლაც, პირდაპირი წესით უნდა ირჩეოდეს, ვინაიდან საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად იქმნებიან ანუ ორივეს ხალხი ქმნის, თუმცა აქვე შეგახსენებთ, რომ პრეზიდენტის არჩევნები აშშ-შიც კი არაა პირდაპირი.

– აბა, როგორია?

– იურიდიული ფაკულტეტის ყველა სტუდენტმა იცის, რომ აშშ-ში პრეზიდენტის არჩევნები ირიბია და იცით, ასე რატომაა? – შტატების მიხედვით, ამომრჩევლები ე.წ. ხმოსნებს ირჩევენ, რომლებიც, თავის მხრივ, პრეზიდენტს ირჩევენ. ამიტომაც, იგივე ბოლო არჩევნებზეც ის მოხდა, რაც ყოველთვის ხდებოდა ანუ ხმოსნებმა ტრამპი აირჩიეს, მაგრამ ჰილარი კლინტონის მხარდამჭერი ხმოსნების უკან ორი თუ სამი მილიონით მეტი ამომრჩეველი იდგა. შესაბამისად, პირდაპირი რომ ყოფილიყო, მაშინ არჩევნებს კლინტონი მოიგებდა.

მოკლედ, საპრეზიდენტო რესპუბლიკაში პრეზიდენტის არჩევნები პირდაპირი უნდა იყოს! საპრეზიდენტო

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ძალადობა... უიღბლო ვარსკვლავზე დაბადებულ კონსტიტუციაზე

მე-2 გვერდიდან

მმართველობის დროს, პრეზიდენტი აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურია, მინისტრები კი, მისი მრჩევლები არიან – თავიანთ სფეროებში დამოუკიდებლად მოქმედებენ, მაგრამ საერთო საკითხებს პრეზიდენტი წყვეტს ანუ მინისტრებს უსმენს და საბოლოო გადაწყვეტილებას თავად იღებს.

საპარლამენტო რესპუბლიკაში, პრეზიდენტს აღმასრულებელი ხელისუფლება არ აქვს. ქვეყნის მოწყობის ნებისმიერი მოდელის დროს, აღმასრულებელი ხელისუფლების პრიორიტეტი ისაა, რომ მხოლოდ საშინაო კი არა, საგარეო პოლიტიკაც განახორციელოს. ამასთან, ქვეყნის განვითარების პროექტი და ყოველწლიური ბიუჯეტი შექმნას, რომელსაც პარლამენტი დაამტკიცებს, თუმცა მიუხედავად ამისა, ყველა ის ბერკეტი, რომელიც ქვეყნის მართვისთვისაა საჭირო, აღმასრულებელი ხელისუფლების ხელშია. საპარლამენტო რესპუბლიკაში, პრეზიდენტს ამ ბერკეტებზე ხელიც არ უკიდია.

– ყველაფერი ეს გასაგებია, ბატონო ვახტანგ, მაგრამ...

– ერთი წუთით, დამაცადეთ, თუ კამათი გინდათ, დავსხდეთ და ვიკამათოთ, მაგრამ თუ ინტერვიუ გინდათ, ინტერვიუ აიღეთ. ჩემი მოსაზრებები გაინტერესებთ, თუ ის, რომ ერთი-მეორე რაღაცაში დავარწმუნოთ?

– არაფერში გარწმუნებთ, უბრალოდ, შეკითხვას გისვამთ: იმ სიტუაციაში, როცა „ოცნების“ წარმომადგენლები პრეზიდენტს ემუქრებიან, თუ კარგად არ მოიქცევა, 2018, წლიდან არაპირდაპირი გზით ავირჩევთო...

– ჩემი აზრით, სიტყვა გაექცათ...“

მოკლედ, შეიძლება, თავის დროზე, სიტყვა ბატონ ხმალაძესაც გაექცა, თუმცაღა ეს სხვა საუბრის თემაა. ამიტომ, მოდით, ისევ ქართული კონსტიტუციის ისტორიას დავუბრუნდეთ.

საერთოდ, ჩვენებურ კონსტიტუციონალიზმს სათავე მე-20 საუკუნის შორეულ 20-იან წლებში ჩაეყარა. ქართული „ვიკიპედიის“ თანახმად, **„...1918 წლის 26 მაისს, საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი მიიღო და დაიწყო კონსტიტუციის შემუშავება. კონსტიტუციაში გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ქართველი ხალხის ისტორიულად ჩამოყალიბების ფსიქიკა, ყოფა, ზნე-ჩვეულება, საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა და საპარლამენტო პრაქტიკა. კონსტიტუციის შემუშავება სამ წელიწადს გაგრძელდა და მიღებულ იქნა 1921 წლის 21 თებერვალს“**, მაგრამ ამ კონსტიტუციამ, სამწუხაროდ, მხოლოდ ოთხი დღე იარსება – მოგეხსენებათ, 1921 წლის 25 თებერვალს, საქართველოს „წითელი კალიები“ შემოესივნენ, რომელთა ბატონობის დროსაც, საბჭოთა საქართველომ სულ ოთხი კონსტიტუცია გამოიცვალა: 1922, 1927, 1937 და 1978 წლებში მიღებული უმაღლესი კანონი, ტიპური საბჭოთა კონსტიტუცია გახლდათ და რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციისგან არაფრით განსხვავდებოდა.

1990 წლის 28 ოქტომბერს, საქართველოში უზენაესი საბჭოს პირველი მრავალპარტიული არჩევნები ტარდება. ხელისუფლებაში მოსულ ეროვნულ მოძრაობას 1978 წლის ჯერ კიდევ მოქმედ საბჭოურ კონსტიტუციაში უამრავი ცვლილება შეაქვს. ასე, მაგალითად, ქვეყნის სახელწოდებიდან იღებს სიტყვათა კომბინაციას – „საბჭოთა სოციალისტური“ და სახელმწიფოს „საქართველოს რესპუბლიკას“ უწოდებს. ამასთან, იცვლება სახელმწიფო სიმბოლიკაც, უქმდება კომუნისტური პარტიის, როგორც ხელმძღვანელის როლი და დასაბამი ეძლევა პოლიტიკურ პლურალიზმს. პარალელურად, კონსტიტუციიდან ქრება ისეთი ცნებები, როგორებიცაა, მაგალითად, „სოციალისტური საკუთრება“, „სოციალისტური კანონიერება“, „სოციალისტური დემოკრატია“...

„1991 წლის ბოლოს, არაკონსტიტუციური გზით, ვადამდე შეუწყდა უფლებამოსილება საქართველოს უზენაეს საბჭოს, რესპუბლიკის პრეზიდენტსა და მთავრობას. 1992 წლის 6 იანვარს, შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭო (ტრიუმვირატი) და დროებითი მთავრობა. სამხედრო საბჭომ ძალადაკარგულად გამოაცხადა გარდამავალი პერიოდის კონსტიტუცია და კანონმდებლობა და 1992 წლის 21 თებერვალს, მიიღო დეკლარაცია 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის აღდგენის თაობაზე. იმავე წელს, დაიშალა სამხედრო საბჭო და შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო. 1921 წლის აღდგენილ კონსტიტუციას კი ისეთივე ბედი ეწია, როგორიც მიღების დროს – რეალურად, ერთი დღეც არ უმოქმედია, რადგან იმ დროსთან შეუსაბამო იყო“, – წერია ქართულ „ვიკიპედიაში“. ამავე წყაროს მიხედვით, 1992 წლის 6 ნოემბერს, მიღებულ იქნა კანონი „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“, რომელიც „მცირე კონსტიტუციის“ სახელწოდებითაა ცნობილი... ე.წ. მცირე კონსტიტუცია ერთადერთი აქტი იყო, რომელიც კონსტიტუციის გარეშე დარჩენილ ქვეყანაში ძირითადი კანონის მაგივრობას სწევდა...

ასე და ამგვარად, 1993 წლის 25 მარტს შექმნილი საკონსტიტუციო კომისია, 1921 წლის კონსტიტუციის ახალი პროექტის რედაქციაზე მუშაობას ორ წელს ანდომებს და... 1995 წლის 24 აგვისტოს, პარლამენტი ქვეყნის უმაღლეს კანონს იღებს, რომლის ხელმოწერის ცერემონიაც 5 დღეში, ესე იგი, 29 აგვისტოს, ე.წ. პიონერთა სასახლეში უნდა გაიმართოს, მაგრამ 29 აგვისტოს კონსტიტუცია აღარავის ემახსოვრება, რამეთუ ამ დღეს, სახელმწიფოს მეთაურს ააფეთქებენ...

აფეთქება „იმელში“

„1995 წლის 29 აგვისტოს, კონსტიტუციის მიღებიდან ოთხი დღის შემდეგ, ქართული პოლიტიკური ბომონდი და „ელიტარული ინტელიგენცია“ „მოსწავლეთა სასახლეში“ შეიკრიბა, სადაც უნდა გამართულიყო კონსტიტუციის ხელმოწერის საზეიმო ცერემონიალი. ელოდნენ მხოლოდ

სახელმწიფოს მეთაურს, რომელიც სულ მალე უნდა მისულიყო მანქანით. მოულოდნელად, პარლამენტის შენობის (იმელის) მხრიდან მძლავრი აფეთქების ხმა გაისმა და ცაში შავი კვამლის სვეტი ავარდა. როგორც შემდგომ გაირკვა, აფეთქდა თეთრი ფერის „ნივა“. იგი პარლამენტის ეზოში, ავტოსადგომზე იდგა; ცეცხლი წაეკიდა ედუარდ შევარდნაძის მანქანასაც. სახელმწიფოს მეთაური სულ რამდენიმე წამით ადრე გამოიყვანეს ალმოდებული მანქანიდან, რომელიც მაშინვე მთლიანად დაიწვა“, – ესაა ამონარდი 1998 წელს, ერთ-ერთ ქართულ გაზეთში გამოქვეყნებული სტატიიდან, რომელშიც, ასევე, ვკითხულობთ – **პირადი დაცვის წევრებმა ედუარდ შევარდნაძე „ჟიგულში“ გადასვეს და რესპუბლიკურ საავადმყოფოში მიიყვანეს. შევარდნაძე სერიოზულად არ დაშავებულა, მხოლოდ შუშის ნამსხვრევები შეეხო სახესა და მკერდში... პოლიტიკური თვალსაზრისით, ედუარდ შევარდნაძემ ეს აფეთქება ბრწყინვალედ გამოიყენა იმ დროს მთავარი მოწინააღმდეგის – „მხედრიონის“ გასანადგურებლად: რამდენიმე დღის შემდეგ, აიყვანეს გიგა გელაშვილი და თემურ ხაჩიშვილი, შემდგომ სხვა „მხედრიონელები“ და ბოლოს, თვით ჯაბა იოსელიანიც... აფეთქების უშუალო ორგანიზატორობა ბრალად ედება გიგა გელაშვილს, რომელმაც „ღილაკს ხელი დააჭირა“. სხვა ბრალდებულები არიან უშიშროების სამინისტროს თანამშრომლები, რომლებიც ამ უწყებაში მოხვდნენ თემურ ხაჩიშვილთან ერთად ანუ იგივე „მხედრიონელები“.**

ყველაზე საინტერესო მომენტი, მთელ ამ ისტორიაში, იგორ გიორგაძის როლია. „საინტერესო“ იმდენად, რამდენადაც ცხადს ხდის მომხდარის მოტივაციასა და შინაგან მექანიზმს. იყო თუ არა იგორ გიორგაძე ტერორისტული აქტის ორგანიზატორი? წინასწარი გამოძიებისას, „მხედრიონელები“ სწორედ მას „ადებდნენ ხელს“ და ამტკიცებდნენ, რომ იგორ გიორგაძე ყველა ტერაქტის უშუალო ორგანიზატორია... იგორ გიორგაძე „კა გე ბე“-ს ჩვეულებრივი, არაფრით გამორჩეული მუშაკია. სტანდარტულ ვითარებაში, საბჭოთა კავშირის დროს, იგი „კა გე ბე“-ს რომელიმე რაიონის უფროსის თანამდებობაზე მაღლა ვერ წავიდოდა, მაგრამ დრომ და გარემოებამ საქართველოს სპეცსამსახურის ხელმძღვანელად აქცია, იმ სპეცსამსახურისა, რომელსაც, პრაქტიკულად, „მხედრიონი“ მართავდა“.

ჯაბა იოსელიანი ცოცხალი აღარაა, იგორ გიორგაძე კი, ორ ათეულ წელზე მეტია, ინტერპოლის მიერ იძებნება. შესაბამისად, დღესაც პასუხგაუცემელია კითხვა: რა მიზანი ჰქონდა 29 აგვისტოს ტერაქტს? ამ თემაზე მსჯელობა მხოლოდ ვერსიებით შეიძლება. ერთ-ერთი მთავარი ვერსია, რომელიც შევარდნაძის აფეთქებისთანავე გაჩნდება, ისაა, რომ სახელმწიფო მეთაურს კონსტიტუციისთვის ხელი არ უნდა მოეწერა ანუ წმინდა რუსული ნარატივი იყო, რომ საქართველოს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს, კონსტიტუცია არ ჰქონოდა. ქვეყანა კი, რომელსაც უმთავრესი კანონი არ აქვს, დამოუკიდებლობასა და, მით უფრო, დემოკრატიულობაზე თავს ვერ დადებს, რამეთუ, სწორედ კონსტიტუციაში წერია: **„საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო, რაც დადასტურებულია 1991 წლის 31 მარტს, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის, აფხაზეთის ასსრ-სა და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩატარებული რეფერენდუმით და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით, საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმა არის დემოკრატიული რესპუბლიკა. სახელმწიფო ხელისუფლება, როგორც ყველა დემოკრატიულ სახელმწიფოში, ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით – საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლება იყოფა საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად. ხელისუფლების წყარო არის ხალხი, რომელიც თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის, უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებისა და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით.**

საქართველოს კონსტიტუცია განამტკიცებს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს. სახელმწიფო ხელისუფლება სცნობს და აღიარებს ამ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას, ხალხი და სახელმწიფო შეზღუდულნი არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით.

საქართველოს კონსტიტუცია აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებას, ამასთან ერთად, აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიის განსაკუთრებულ როლსა და მის დამოუკიდებლობას“ (წყარო – ქართული „ვიკიპედია“).

უბედური ვარსკვლავი

მოკლედ, ყოველივე ზემოთქმული ნათელჰყოფს, რომ საქართველოს კონსტიტუცია „უბედურ ვარსკვლავზეა“ დაბადებული. შეიძლება, ეს უტრირებული ნათქვამია, მაგრამ ფაქტია: 28 წლის განმავლობაში, სახელმწიფო მმართველობაში მოსულმა სხვადასხვა ყაიდის პოლიტიკოსებმა ქვეყნის უმთავრესი კანონი არაერთხელ, მომიტევეთ და, გააუპატიურეს. კონსტიტუციაზე ძალადობა კი პირველად, 1999 წლის 20 ივლისს განხორციელდა: სწორედ ამ დღეს, მიღებულ იქნა ორი კონსტიტუციური კანონი ანუ კონსტიტუციის 50-ე და 70-ე მუხლების ზოგიერთი დებულება შეიცვალა. ამ ცვლილებებიდან კი ყველაზე მნიშვნელოვანი ის გახლდათ, რომ საარჩევნო ბარიერი 5-დან

დასასრული მე-4 გვერდზე

ძალადობა... უიღბლო ვარსკვლავზე დაბადებულ კონსტიტუციაზე

მე-3 გვერდიდან

7%-მდე გაიზარდა. სხვათა შორის, ეს საკონსტიტუციო ცვლილება ფართო მასებს ერთი დეტალით დაამახსოვრდათ: ირინა სარიშვილი, რომელიც იმხანად მოქკავშირის რეფორმატორული ფრთის მაკრიტიკებელ-მაგინებელი იყო, ბარიერის გაზრდამ ისე აღაფრთოვანა, რომ პარლამენტის სხდომათა დარბაზში, მიხეილ სააკაშვილი ამბორით დააჯილდოვა, თუმცა სარიშვილ-სააკაშვილის 7%-იანი ერთობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ყოველ შემთხვევაში, 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ დროს, ქალბატონი პოლიტიკოსი მოქკავშირის რეტროგრადული ბანაკის ინტერესებს ამაგრებდა. დღეს კი საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ სარიშვილი სააკაშვილის ინტერესების დამცველია, თუმცა ესეც სხვა საუბრის თემაა...

კონსიტუციაში შემდეგი ცვლილება 2000 წლის 20 აპრილსა და 2002 წლის 10 ოქტომბერს შევიდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ აჭარისა და აფხაზეთის სტატუსები ასე განისაზღვრა – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა“ და „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა“.

2001 წლის 30 მარტის კონსტიტუციური კანონით, კონსტიტუციის მე-9, 66-ე, 73-ე და 89-ე მუხლები გადაისინჯა და საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის, კონსტიტუციური შეთანხმების დადების შესაძლებლობა დაიშვა.

2003 წლის 23 ივლისის კონსტიტუციური კანონით, კონსტიტუციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტი გადაისინჯა, რაც იმას ნიშნავდა, რომ დაწყებითთთან ერთად, საბაზისო განათლებაც სავალდებულო გახდა.

ერთ-ერთი მასშტაბური კონსტიტუციური რეფორმა 2004 წელს განხორციელდა, როცა ცვლილება 30-მდე მუხლს შეეხო. ამასთან, კონსტიტუციის ტექსტს ახალი, მეოთხე თავი ჩაემატა, რომელიც საქართველოს მთავრობას ეხება. 2004 წელსვე, კონსტიტუციიდან ამოღებულ იქნა 91-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, პროკურატურა სასამართლო ხელისუფლების დაწესებულება იყო. 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი არსებითად შეეხო კონსტიტუციის იმ ნაწილს, რომელიც სახელმწიფო მმართველობის ფორმას ადგენდა ანუ საპრეზიდენტო რესპუბლიკის ნაცვლად, შემოღებულ იქნა მმართველობის ფორმა, რომლის კონცეფციურ საფუძვლად ე.წ. ფრანგული მოდელი დასახელდა. აღსანიშნავია, რომ დღეს ვაკხანალია, სწორედ ამ ფორმის შეცვლაზეა ატეხილი...

2004 წლის 23 აპრილის კონსტიტუციური კანონით, საქართველოს პარლამენტის წევრის იმუნიტეტის შინაარსი შეიცვალა. 2004 წლის 1 ივლისს, კიდევ ერთი ცვლილება განხორციელდა, რომელიც მართალია, კონსტიტუციის ტექსტში არ შესულა, მაგრამ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებული საკითხები, ასევე, ორგანოთა სისტემა და კომპეტენცია განისაზღვრა. ამავე კანონით, გარკვეული ცვლილებები იქნა შეტანილი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაში.

2005 წლის 23 თებერვლის ცვლილებით, პარლამენტის წევრთა რაოდენობა 235-დან 150-მდე შემცირდა, საპარლამენტო ფრაქციის შექმნისთვის კი, ათის ნაცვლად, შვიდი წევრის მოთხოვნა დადგინდა.

2005 წლის 23 დეკემბრის ცვლილება კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი და 26-ე მუხლების მე-5 პუნქტებს შეეხო, რაც იმას ნიშნავდა, რომ კონსტიტუციიდან ამოღებულ იქნა ფრაზა – „უშიშროების სამსახური“. 73-ე მუხლის ცვლილების თანახმად კი, პრეზიდენტს მიეცა უფლება, გადააყენოს მთავრობა, თანამდებობიდან დაითხოვოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის მინისტრები. ეს ცვლილება იმდროინდელმა ოპოზიციამ ხელზე დაიხვია, აი, სააკაშვილი საკუთარ უფლება-მოსილებას განუსაზღვრელად იზრდის და დიქტატორობას აპირებსო.

2005 წლის 27 დეკემბერს, კონსტიტუციურ კანონში კიდევ ერთი ცვლილება შევიდა, რომელიც სასამართლო ხელისუფლებას შეეხო და რომლითაც საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების ასაკობრივი ცენზი, მოსამართლის და ასევე, უზენაეს სასამართლოს, როგორც უმაღლეს საკასაციო სასამართლოს სტატუსი დადგინდა. ზუსტად ერთი წლის შემდეგ ანუ 2006 წლის 27 დეკემბერს, ოთხი კონსტიტუციური კანონი მიიღეს. ერთ-ერთი მათგანით, სიკვდილით დასჯა აიკრძალა, მე-17 მუხლს კი მე-3 პუნქტი დაემატა, რომლის მიხედვითაც, დაკავებული პირის ფიზიკური და ფსიქიკური იძულება იკრძალება. 2006 წლის 27 დეკემბრის ცვლილებები პრეზიდენტის, როგორც საქართველოს სამხედრო ძალების მთავარსარდლის უფლებამოსილებებს, პარლამენტისა და პრეზიდენტის არჩევნების რეგულაციას, პრეზიდენტის უფლებამოსილებას საგარეო ურთიერთობაში, მართლმსაჯულებისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საკითხებსაც შეეხო, 2008 წლის 11 მარტის ცვლილებები კი – პრეზიდენტის უფლებამონაცვლეობას, მთავრობის შემადგენლობას, სახელმწიფო რწმუნებულის ანუ გუბერნატორის ინსტიტუტს შეეხო.

2008 წლის 12 მარტის კონსტიტუციური კანონით, საარჩევნო ბარიერი 5%-ით განისაზღვრა და ისე გამოვიდა, რომ ლამის ათწლიანი ტაიმ-აუტის შემდეგ, პოლიტიკური სპექტრი ისევ იქ დაბრუნდა, საიდანაც კონსტიტუციის ჭრა-კერვა დაიწყო. დღევანდელი საკონსტიტუციო ომის ერთ-ერთი საბაბი, რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, ისევ საარჩევნო ბარიერია...

2008 წლის 10 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი იმპიჩმენტის საფუძველსა და პრეზიდენტის იმ უფლებას შეეხო, რომლის ძალითაც უმაღლეს მთავარსარდალს შეუძლია, თანამდებობიდან თავდაცვის, შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრები გადააყენოს. ამავე ცვლილებით, პროკურატურის ორგანოები იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შევიდა.

2009 წლის 24 სექტემბრის კონსტიტუციური კანონით, საქართველოს პარლამენტის ადგილსამყოფელად ორი ქალაქი – თბილისი და ქუთაისი განისაზღვრა, რასაც მაშინდელი ოპოზიციის მხრიდან დიდი აჟიოტაჟი და ხმაური მოჰყვა. ისე, სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ 2012 წელს, „ოცნების“ ერთ-ერთი საარჩევნო დაპირება პარლამენტის თბილისში დაბრუნება იყო, თუმცა ახლანდელი ცვლილებების პროექტით, როგორც ირკვევა, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო ისევ ქუთაისში რჩება.

ჯერ კიდევ მოქმედ კონსტიტუციაში, ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ცვლილება 2010 წლის 15 ოქტომბერს შევიდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ცვლილება კონსტიტუციის თითქმის ყველა ნაწილს, მათ შორის, პრეამბულასაც შეეხო. კერძოდ, პრეამბულის თხრობის სტილი შეიცვალა და ჩაიწერა, რომ კონსტიტუცია 1921 წლის კონსტიტუციის ძირითად პრინციპებს კი არა, არამედ, მის ისტორიულ-სამართლებრივ მემკვიდრეობას ემყარება.

ამასთან, ცვლილებები შევიდა ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების, ხელისუფლების ორგანოთა ნორმებში. კონსტიტუციას ჩაემატა მეშვიდე თავი, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საკითხებს არეგულირებს.

2010 წლის 15 ოქტომბრის რეფორმით გათვალისწინებულ ცვლილებები ძალაში 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ შევიდა... ასე გახდა საქართველო ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკა ანუ პრეზიდენტმა დაკარგა მთავრობის მეთაურის ფუნქცია და მთავრობის ფორმირებაში ფორმალურადღა მონაწილეობს. სამაგიეროდ, გაიზარდა პრემიერ-მინისტრის უფლება-მოსილება. ამასთან, სრულიად შეიცვალა მთავრობის ფორმირების წესი ანუ დღემდე მოქმედი კონსტიტუციით, მთავრობას პრეზიდენტი კი არა, პარლამენტი აყალიბებს. მთავრობის უფლებამოსილება კი მოხსნილად ახალარჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობისთანავე ითვლება. პრეზიდენტი მხოლოდ პარლამენტში საუკეთესო შედეგის მქონე საარჩევნო სუბიექტის მიერ, მისთვის წარდგენილ პრემიერობის კანდიდატს წამოაყენებს, მთავრობის შემადგენლობისთვის ნდობის გამოცხადებიდან ორი დღის ვადაში კი პრემიერს ნიშნავს.

2010 წლის 15 ოქტომბრის საკონსტიტუციო რეფორმას საზოგადოების დიდი კრიტიკა მოჰყვა. სწორედ ეს აყალმაყალი დაედო საფუძვლად ამჟამინდელ საკონსტიტუციო ცვლილებების მომზადებას. სხვათა შორის, ადამიანები, რომლებიც მაშინ ოპოზიციაში იყვნენ, ახლა კი ხელისუფლებაში არიან, ირწმუნებოდნენ და ირწმუნებიან, რომ 2010 წლის საკონსტიტუციო რეფორმით, სააკაშვილმა საკუთარი მომავალი უზრუნველჰყო, კერძოდ, გაჩნდა მოსაზრება, რომ სააკაშვილი აპირებდა, მას შემდეგ, რაც პრეზიდენტობის მეორე ვადას ამოწურავდა, პრემიერად მოგვვლინებოდა, რათა ხელისუფლებაში რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში დარჩენილიყო. შესაძლოა, 2010 წლის რეფორმის მთავარი მიზანი სწორედ ეს იყო, მაგრამ მიშა ბჭობდა, ის „ბრძენი კაცი“ კი იცინოდა. ჰოდა, მოხდა ის, რაც მოხდა – სააკაშვილი საქართველოდან არათუ წავიდა, არამედ, მასზე შიდა ძებნა გამოცხადდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ როგორც კი საქართველოს საზღვარს გადმოკვეთდა, დააკავებდნენ და პრემირის კაბინეტში კი არა, „მატროსოვზე“ მიაბრძანებდნენ!

ასეა თუ ისე, სააკაშვილმა, მავრისა არ იყოს, თავისი საქმე გააკეთა და, მიუხედავად იმისა, რომ წავიდა, კონფრონტაციის მარცვალი ჩააგდო, რომელიც „ოცნებისა“ და მის მიერვე გაპრეზიდენტებული გიორგი მარგველაშვილის პოლიტიკური მუშტი-კრივის საბაბი გახდა...

* * *

მოკლედ, რამდენიმე დღეში, საკონსტიტუციო ცვლილებების საერთო-საყოველთაო განხილვა დასრულდება. მერე?.. მერე თამაშში მსოფლიოში ცნობილი ის „დასტაქარი“ ჩაერთვება, რომელიც X-ფაილის დასაყისში ვახსენე. სახელისუფლო გუნდი ირწმუნება, რომ ვენეციის კომისიას საკონსტიტუციო ცვლილებები მოსწონს, თუმცა რეალურად ასეა თუ არა, მოგვიანებით გამოჩნდება...

სხვათა შორის, საქართველოს კონსტიტუცია, პირვანდელი რედაქციით, პრეამბულისგან, ძირითადი ნაწილისა და გარდამავალი დებულებებისგან, სულ 9 თავისა და 109 მუხლისგან შედგებოდა. დღეს კონსტიტუცია პრეამბულისგან, ძირითადი ნაწილისა და გარდამავალი დებულებებისგან ანუ სულ 11 თავისა და 124 მუხლისგან შედგება. ამჟამინდელი მონაცემებით, ჯერ კიდევ მოქმედ კონსტიტუციაში ჩამატებულია მეოთხე და მეშვიდე თავები, 341-ე, 481-ე, 511-ე, 731-ე, 801-ე, 811-ე, 812-ე, 813-ე, 814-ე, 861-ე, 1011-ე, 1012-ე, 1013-ე, 1041-ე, 1042-ე, 1043-ე მუხლები, ამოღებულია 761-ე და 91-ე მუხლები.

კონსტიტუციის პრეამბულაში აღნიშნულია, რომ საქართველოს მოქალაქეთა ნებაა, დაამკვიდრონ დემოკრატიული საზოგადოებრივი წეს-წყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო, უზრუნველჰყონ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი, განამტკიცონ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სხვა ხალხებთან მშვიდობიანი ურთიერთობა. მართალია, პრეამბულას იურიდიული ძალა არ აქვს, მაგრამ იმედია, საქართველო ოდესმე მაინც იქნება ისეთი სახელმწიფო, სადაც სხვადასხვა ყაიდის ხელისუფალნი დემოკრატიულ პრინციპებს არ დაარღვევენ!

ენერგეტიკის ფართომასშტაბიანი რეფორმა ენერგოუსაფრთხოების გასაძლიერებლად

მაკა რუხაძე

ენერგეტიკა, კავშირგაბმულობა და საინფორმაციო ტექნოლოგიები პრემიერ-მინისტრის ყოველწლიურ ანგარიშში

ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში ენერგოუსაფრთხოებას უმნიშვნელოვანესი ფუნქცია აქვს, რაც საქართველოს მთავრობის პრიორიტეტია. როგორ უნდა განვითარდეს ქვეყნის ენერგეტიკა, კავშირგაბმულობა და საერთაშორისო ტექნოლოგიები გრძელვადიან პერსპექტივაში. რა ღონისძიებებია დაგეგმილი მთავრობის მიერ, რა შესრულდა და რა უნდა შესრულდეს. ყველაფერი ეს, საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის ყოველწლიურ ანგარიშში, რომლითაც ის პარლამენტის წინაშე 1 ივლისს წარსდგა, დეტალურადაა აღწერილი. „ვერსიამ" უკვე განიხილა ტრანსპორტი და ლოგისტიკა, ეკონომიკური განვითარება, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან ურთიერთობა და დასაქმება პრემიერის ანგარიშიდან, ამჯერად, ენერგეტიკას, კავშირგაბმულობასა და საერთაშორისო ტექნოლოგიებს გავეცნოთ.

ენერგეტიკა

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ქვეყნის ენერგეტიკული პოტენციალის მაქსიმალურად ათვისებისა და ენერგოუსაფრთხოების გაძლიერების მიზნით, გრძელდება ენერგეტიკის სფეროს ფართომასშტაბიანი რეფორმა, რის შედეგადაც, დარგში თავისუფალი საბაზრო ურთიერთობების გაძლიერების მიზნით, მიმდინარეობს ენერგეტიკული საქმიანობების – გადაცემისა და განაწილების განცალკევება წარმოების, ვაჭრობისა და მიწოდების საქმიანობისგან.

„ამასთან, უკვე დასრულებულია ელექტროენერგიის დღით ადრე, დღიური, საბალანსო და დამხმარე მომსახურების ბაზრების ამოქმედებისთვის აუცილებელი მოსამზადებელი ეტაპები. საკანონმდებლო ჩარჩოს სრულყოფის მიზნით, მომზადებულია შესაბამისი ნორმატიული აქტები, რომელსაც უახლოს მომავალში განიხილავს საქართველოს მთავრობა და შემდგომში წარედგინება პარლამენტს. კერძოდ, მიმდინარეობს მუშაობა „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებზე, ასევე, მზადდება პროექტები საქართველოს საგადასახადო კოდექსში და „ფინანსური გირავნობის, ურთიერთგაქვითვისა და დერივატივების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე", – ვკითხულობთ პრემიერის ყოველწლიურ ანგარიშში.

რაც შეეხება Unbundling-ის საკითხს, მიმდინარეობს მუშაობა შესაბამის სამართლებრივ აქტებზე, რომლებიც დაადასტურებენ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და კომპანიების მიერ განმხოლოების მოთხოვნების შესრულებას. აღნიშნული უზრუნველჰყოფს კომპანიების მართვის უფლებების იმგვარად გადანაწილებას, რომ ერთდროულად, ერთი სახელმწიფო ორგანოს მართვაში არ იყოს ერთი მხრივ, ენერგიის გადაცემის/განაწილების, ხოლო მეორე მხრივ, წარმოების/მიწოდების/ვაჭრობის საქმიანობის განმახორციელებელი კომპანიები. გარდა ამისა, ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, დაწყებულია საბოლოო მომხმარებლების ბაზარზე გაყვანის პროცესი (გარდა საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისა და მცირე საწარმოებისა), რაც ეტაპობრივად განხორციელდება 2026 წლამდე, მათი მოხმარების სიდიდისა და ძაბვის მიხედვით. პარალელურად, განხორციელდება 2008 წლის 1 აგვისტოს შემდეგ აშენებული ჰიდროელექტროსადგურების (რომელთა საპროექტო სიმძლავრე 65 მეგავატს არ აღემატება) ეტაპობრივი დერეგულირება.

„ამ ეტაპზე, ელექტროენერგიის ბაზრის სამიზნე მოდელის ფარგლებში, დაბალანსებაზე პასუხისმგებელ პირად რეგისტრირებულია 29 მსხვილი მომხმარებელი. გარდა ამისა, საქართველოს ენერგეტიკული პოტენციალის მაქსიმალურად ათვისებისა და ენერგოუსაფრთხოების გაძლიერების მიზნით, გადაიდგა შემდეგი ნაბიჯები: ელექტროენერგიის მოხმარების მნიშვნელოვნად ზრდის ტენდენციისა და გენერაციის წყაროების დეფიციტიდან გამომდინარე, მიმდინარეობს მუშაობა გარდაბანში თანამედროვე ტექნოლოგიების, გაზის ტურბინიანი კომბინირებული ციკლის ახალი თბოელექტროსადგურის – „გარდაბანი 3"-ის მშენებლობაზე, დაახლოებით, 400 მგვტ დადგმული სიმძლავრით. უახლოეს მომავალში, მთავრობის სხდომაზე წარსადგენად გაიგზავნება გარდაბნის მუნიციპალიტეტში კომბინირებული ციკლის მესამე თბოელექტროსადგურის მშენებლობის უზრუნველსაყოფად საჭირო ძირითადი პირობებისა და ამ მიზნით შესარჩევი კერძო ინვესტორის შეფასების კრიტერიუმების შესახებ დოკუმენტაცია, რის შემდეგაც საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია გამოაცხადებს ელექტრონულ აუქციონს, ახალი თაობის კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგურის „გარდაბანი 3"-ის ასაშენებლად კერძო ინვესტორის მოძიების მიზნით".

პრემიერის განცხადებით, დაწყებულია ენერგოეფექტურობის შესახებ ცნობიერების ასამაღლებელი სტრატეგიის შემუშავება, რომლის განხორციელებაც მიმდინარე წელს დაიწყება. გრძელდება ენერგიის განახლებადი წყაროების განვითარებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა. 2022 წლის ივნისიდან 2023 წლის მაისის ჩათვლით, ექსპლუატაციაში შევიდა 6 ჰიდროელექტროსადგური („ახალქალაქი 1 ჰესი", „ახალქალაქი 2 ჰესი", „როშკა 1 ჰესი", „როშკა 2 ჰესი" „როშკა 3 ჰესი", „ახატანი ჰესი") ჯამური დადგმული სიმძლავრით – 13.67 მგვტ.

ამჟამად, გაფორმებულია 215 მემორანდუმი (მიმდინარეობს მუშაობა 4 დიდი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის განვითარების შესახებ), მათგან 164 მცირე და საშუალო სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის განვითარების თაობაზე, ასევე ქარის – 20 და მზის – 31 ელექტროსადგურის განვითარებასთან დაკავშირებით. გაფორმებული მემორანდუმებით, ელექტროსადგურების სავარაუდო ჯამური დადგმული სიმძლავრე – 2 451 მგვტ-ი, სავარაუდო გამომუშავება კი, დაახლოებით, 10.802 მილიარდი კვტ/სთ-ია. გარდა ამისა, დასრულდა 300 მგვტ დადგმული სიმძლავრის პირველი აუქციონი. აუქციონზე შევიდა 78 განაცხადი, ჯამურად, 900 მგვტ-ზე. გამარჯვებული კომპანია დადგინდა მედიანური ტარიფის პრინციპით. შედეგად, მხარდაჭერას მიიღებს 12 ჰიდრო, 2 ქარისა და 10 მზის ელექტროსადგურის პროექტი.

„სატრანზიტო მიმართულების განვითარების მიზნით, საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში, გაგრძელდა 220 კილოვოლტი (კვ) „ახალციხე-ბათუმის" ელექტროგადამცემი ხაზის (ეგხ) მშენებლობა, 500 კვ ქვესადგური წყალტუბოს მშენებლობა. 2022 წლის მეორე ნახევრიდან დაიწყო მშენებლობა შემდეგ ობიექტებზე: 220/110 კვ ქვესადგური ოზურგეთი და 220 კვ ქვესადგური ლაჯანური. დამატებით, 2022 წლის ივნისში, ხელი მოეწერა ინდურ კომპანია „ლარს ენდ ტუბროსთან" სამშენებლო კონტრაქტს – 500 და 220 კვ ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობაზე ლაჯანურიდან წყალტუბოს მიმართულებით".

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ აქტიურად მიმდინარეობს სამუშაოები რეგიონებში მოსახლეობის გაზიფიცირების უზრუნველსაყოფად. ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, საანგარიშო პერიოდში, გაზიფიცირების სამშენებლო სამუშაოები დასრულდა 37 დასახლებულ პუნქტში მცხოვრები 7 800-ზე მეტი ოჯახისათვის.

კავშირგაბმულობა და საინფორმაციო ტექნოლოგიები

საქართველოს ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების 2020-2025 წლების ეროვნული სტრატეგიის შესაბამისად, გრძელდება ფართოზოლოვანი ინტერნეტ-ინფრასტრუქტურის განვითარება. პრემიერ-მინისტრის განცხადებით, პროექტ Log-In Georgia-ს ფარგლებში, 2022 წლის ივნისიდან 2023 წლის მაისამდე, განხორციელდა 400 კმ-მდე ოპტიკური ინფრასტრუქტურის მშენებლობა ლეჩხუმის, სამტრედია-ჩოხატაურისა და რაჭის (ნაწილობრივ) მიმართულებებზე. ამის პარალელურად, გაფორმებულია კიდევ ორი ხელშეკრულება მესტია-ჯვრის (160 კმ, 28 დასახლებული

დასასრული მე-6 გვერდზე

ენერგეტიკის ფართომასშტაბიანი რეფორმა ენერგოუსაფრთხოების გასაძლიერებლად

მე-5 გვერდიდან

პუნქტი, 6 000 მოსახლე) და ზუგდიდი-ხობის (270 კმ, 48 დასახლებული პუნქტი, 26 500 მოსახლე) მაგისტრალის მშენებლობაზე, სადაც ამჟამად მიმდინარეობს პროექტირების ეტაპი, სამუშაოები დაიწყო ივლისში და დასრულდება 2024 წლის იანვრისთვის. ამავდროულად, გამოცხადებულია კიდევ ორი ტენდერი აბაშა-სენაკისა (240 კმ, 48 დასახლებული პუნქტი, 16 100 მოსახლე) და წყალტუბო-ვარციხის (270 კმ, 35 დასახლებული პუნქტი, 15 000 მოსახლე) მიმართულებებზე.

„პროექტ Log-In Georgia-ს ფარგლებში, ფართოზოლოვანი ქსელებისა და მომსახურებების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, პოლიტიკის საკანონმდებლო ჩარჩოს გასაუმჯობესებლად, განხორციელდა უნივერსალური მომსახურების რეგულაციების შემუშავების საკონსულტაციო მომსახურება. უნივერსალური მომსახურების დანერგვის მიზანია, ევროპის ელექტრონული კომუნიკაციების კოდექსის შესაბამისად, უზრუნველჰყოს მოსახლეობისთვის სატელეკომუნიკაცო მომსახურებების ეკონომიკური და ფიზიკური ხელმისაწვდომობა, მომზადდა კანონის პროექტი „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“. პროექტ Log-In Georgia-ს ფარგლებში, გაფორმდა ხელშეკრულება საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანიასთან, „ციფრული ჰაბისა და რეგიონალური დატა ცენტრების განვითარებისთვის ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობისა“ და „ფართოზოლოვანი ინტერნეტქსელების განვითარებისთვის ხარჯების შემცირების“ მიზნით. საქართველოს სოფლად მცხოვრები მოსახლეობის მიერ, ინტერნეტის ეფექტიანად გამოყენების მიზნით, პროექტ Log-In Georgia-ს ფარგლებში, ქვეყნის მასშტაბით, აქტიურ ფაზაშია ტრენინგისა და შესაძლებლობების განვითარების პროგრამები, მათ შორის, ქალებისთვის, ეთნიკური უმცირესობებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის“.

საანგარიშო პერიოდში, გაგრძელდა მუშაობა ევროკავშირსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრ ქვეყნებს შორის, ციფრული ბაზრების ჰარმონიზაციის (HDM) პროექტის – EU4Digital ინიციატივაზე. დაიწყო მეორე ფაზა, რომელიც მოიცავს: ელსანდოობიისა და სახელმწიფოთაშორისი სერვისების; ელვაჭრობის; საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიური ინოვაციებისა და სტარტაპის ეკოსისტემების; ელჯანმრთელობისა და ციფრული უნარების მიმართულებებს. პროექტის მიზანია, ევროკავშირსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრ ქვეყნებს შორის, ციფრული ბაზრების ჰარმონიზაციის პროცესის ხელშეწყობა, ციფრული ეკონომიკისა და საზოგადოების განვითარება ერთობლივი პროექტების განხორციელებით, ეროვნული ICT პოლიტიკის საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და ტექნოლოგიური სისტემების ჰარმონიზება და ინტეგრაცია.

„იმისთვის, რომ გაგრძელდეს ევროკავშირის ციფრულ ერთიან ბაზართან საქართველოს ინტეგრაცია და ამასთან, მობილური ქსელების როუმინგის მომხმარებლებს მიეცეთ შესაძლებლობა, ისარგებლონ ხელმისაწვდომი სერვისებით როუმინგის გამოყენებისას ევროკავშირის ქვეყნებში, საქართველოს მთავრობამ ოფიციალურად გამოხატა სურვილი, შეუერთდეს ევროკავშირის ერთიან როუმინგულ სივრცეს – Roam like at home. როუმინგულ სივრცეში სწრაფი ინტეგრაციისთვის, ევროპელი ექსპერტების ჩართულობით, დაიწყო მუშაობა საქართველოს ევროკავშირის როუმინგულ რეგულაციებთან საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზების საკითხებზე. ამასთან, მიმდინარეობს ევროკომისისიის წარმომადგენლებთან კონსულტაციები და მოლაპარაკებები“.

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, მიმდინარეობს მუშაობა ელექტრონული კომუნიკაციებისა და ფოსტის სფეროში, ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებულ ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან საქართველოს კანონმდებლობის დაახლოების მიზნით მისაღებ სხვადასხვა საკანონმდებლო აქტების პროექტებზე. კერძოდ, საქართველოს პარლამენტში წარდგენილ იქნა „ელექტრონული კომერციის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, რომელიც უკვე განხილულია მესამე მოსმენით. მომზადებულია კანონპროექტები: „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „ფოსტის შესახებ“.

„აღსანიშნავია ასევე, რომ ქვეყანაში ციფრული ეკონომიკის განვითარების მიზნით, მსოფლიო ბანკის ტექნიკური დახმარებით, მიმდინარეობს მუშაობა „ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარების გრძელვადიანი ეროვნული სტრატეგიისა და მისი განხორციელების გეგმის“ პროექტზე. სტრატეგიის პროექტი მოიცავს ციფრული სამთავრობო პლატფორმების, ციფრული ფინანსური სერვისების, ციფრული მეწარმეობის, ციფრული უნარების, ციფრული ინფრასტრუქტურის, ციფრული პოლიტიკისა და რეგულირების კანონმდებლობის განვითარების საკითხებს“.

ფინანსური დარღვევები „დევნილთა მომსახურების სააგენტოს“ პროგრამებში

მაკა რუხაძე

სახელმწიფო აუდიტის სამსახური დევნილთა მომსახურების სააგენტოს საბიუჯეტო პროგრამების შესრულებით დაინტერესდა. აუდიტის დასკვნა, რომელიც უწყების ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა, სსიპ „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მომსახურების სააგენტოს“ პროგრამების შესრულებასა და საბიუჯეტო სახსრების ხარჯვას ასახავს და 2022 წელს მოიცავს. როგორც მოსალოდნელი იყო, სახელმწიფო მაკონტროლებლებმა მთელი რიგი დარღვევებიც გამოავლინეს, მაგრამ მანამდე ზოგად ინფორმაციას გავეცნოთ სსიპ-ის შესახებ.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა – არამიზნობრივად დახარჯული საბიუჯეტო სახსრები და შეუსრულებელი სახელმწიფო პროგრამები

ზოგადი ინფორმაცია

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით, აფხაზეთის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის გეოლოგიის განყოფილების ბაზაზე, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მომსახურების სააგენტო“ შეიქმნა. დამტკიცდა სააგენტოს დებულება და აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მომსახურების მიზნით, სააგენტოს უფლებამოსილებები და ფუნქციებიც განისაზღვრა.

კერძოდ, სსიპ „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მომსახურების სააგენტოს“ ფუნქციაა საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და სამინისტროს მიერ შემუშავებული პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა; დევნილის სტატუსიდან გამომდინარე დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით დევნილთათვის უფასო სამართლებრივი მხარდაჭერა; კომპეტენციის ფარგლებში, უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით, დევნილთა მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით პროგრამების შემუშავება და განხორციელება; განსახლების ადგილებში შექმნილ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებთან თანამშრომლობა; სხვადასხვა სახის ჰუმანიტარული ტვირთის მიღება და დევნილთა მიზნობრივი ჯგუფებისათვის განაწილება; კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობით დადგენილი წესით, დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება; სააგენტოს უფლებამოსილებებისა და ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით, კანონმდებლობით დადგენილი და ნებადართული სხვა საქმიანობის განხორციელება. აუდიტის პერიოდში ანუ 2022 წელს, სააგენტო ხუთ სახელმწიფო პროგრამას ახორციელებდა.

დარღვევები პროგრამების მართვაში

აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ სააგენტოს მიერ, 2022 წლის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის დანართში განსაზღვრული პრიორიტეტების შესაბამისად დამტკიცებული პროგრამების ფარგლებში, გაწეულია 630 062 ლარის ხარჯი. 2022 წელს, სააგენტოს ადმინისტრაციის შენახვასა და პროგრამების მომსახურე პერსონალის შრომის ანაზღაურებაზე დაიხარჯა საბიუჯეტო ასიგნებიდან 79.54%, ხოლო უშუალოდ პროგრამების ღონისძიებების განხორციელებაზე – 21.46%, რაც ხარჯ-ეფექტურობის კუთხით დაბალ მაჩვენებელს წარმოადგენს.

„პროგრამების-ქვეპროგრამების განსახორციელებლად გაწეულ მთლიან ხარჯებში, შრომის დანახარჯების მაღალი ხვედრითი წილიდან გამომდინარე, ხარჯ-ეფექტურობის შეუფასებლობითა და მოქმედი კანონის მოთხოვნების გაუთვალისწინებლობით, შეიქმნა საბიუჯეტო სახსრების არაპროდუქტიული სტრუქტურა“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

სააგენტოს დირექტორის 2022 წლის 10 თებერვლის ბრძანებით, დამტკიცდა პროგრამა – „დევნილთა კომპაქტური განსახლების ობიექტებში საერთო სარგებლობის ფართების ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისათვის გადაცემის ხელშეწყობა“. ამ პროგრამით გათვალისწინებული იყო სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრირებული და საერთო სარგებლობის ფართების იდენტიფიცირება, შენობა-ნაგებობის კონფიგურაციის კორექტირება და ფაქტობრივი მდგომარეობის შესაბამისოსაში მოყვანა (საკადასტრო აზომვითი სამუშაოები), არსებული შენობების საერთო სარგებლობის ფართების აზომვითი სამუშაოები, სიტუაციური ნახაზის/საერთო სარგებლობის ფართების შიდა აზომვითი ნახაზების მომზადება.

ვიდრე იმ დარღვევებს გაგაცნობთ, რომლებიც სახელმწიფო აუდიტორებმა ამ ნაწილში გამოავლინეს, შეგახსენებთ, რომ კანონის მიხედვით, საჯარო მოხელე ვალდებულია, სამსახურებრივი უფლებამოსილება რესურსების ეკონომიურად გამოყენებითა და ხარჯვით განახორციელოს და რაციონალურად გამოიყენოს საჯარო დაწესებულების ქონება, რომელიც დაწესებულების გამართულ საქმიანობას ემსახურება.

„პროგრამის მიხედვით განსახორციელებელი იყო აქტივობები ხუთი მიმართულებით: აქტიური თანამშრომლობა სსიპ „დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოსთან“, ასაზომი ობიექტების შესარჩევად; დევნილთა განსახლების ობიექტში არსებული დაურეგისტრირებელი, კერძო საკუთრებად რეგისტრირებული, სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრირებული და საერთო სარგებლობის ფართების იდენტიფიცირება; დევნილთა განსახლების ობიექტში წითელი ხაზებისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის კონფიგურაციის კორექტირება და ფაქტობრივი მდგომარეობის შესაბამისოსაში მოყვანა (საკადასტრო-აზომვითი სამუშაოები); დევნილთა განსახლების ობიექტებში არსებული შენობების საერთო სარგებლობის ფართების აზომვითი სამუშაოები; სიტუაციური ნახაზის მომზადება. დამტკიცებული პროგრამის მიზნის მისაღწევად განსახორციელებელი აქტივობების ხუთი მიმართულებიდან, ასაზომი ობიექტების შესარჩევად, სსიპ „დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოსთან“ თანამშრომლობა არ ფიქსირდება, არ შესრულებულა დევნილთა განსახლების ობიექტებში არსებული შენობების საერთო სარგებლობის ფართების აზომვები და არ მომზადებულა სიტუაციური ნახაზები“.

გარდა ამ დარღვევებისა, სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ ამ პროგრამით გათვალისწინებული იყო საერთო სარგებლობის ფართების შიდა აზომვითი ნახაზების მომზადება, ფაქტობრივად კი, მხოლოდ შენობების საკადასტრო გეგმები მომზადდა, რომელთა არსებობა საერთო სარგებლობის ფართების შიდა აზომვითი ნახაზების მოსამზადებლად აუცილებელია, თუმცა საბოლოო შედეგი არ დგება, შესაბამისად, პროგრამა არ შესრულებულა.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ შესაფერისი კონტროლის მექანიზმის არარსებობის პირობებში, პროგრამით გამოყოფილი ასიგნებების სრულად ათვისებამ მაშინ, როდესაც არ შესრულებულა დევნილთა განსახლების ობიექტებში არსებული შენობების საერთო სარგებლობის ფართების აზომვები და არ მომზადებულა სიტუაციური ნახაზები ანუ არ მიღწეულა საბოლოო მიზანი, გამოიწვია საბიუჯეტო სახსრების არაპროდუქტიული ხარჯვა.

დარღვევები შრომის ანაზღაურებაში

კანონის თანახმად, საჯარო დაწესებულებაში არამუდმივი ამოცანების შესრულების მიზნით მიღებულ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება საქართველოს შესაბამისი წლის, ამ შემთხვევაში, 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით. არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობა საჭიროებს ამ მუხლის მეორე პუნქტით განსაზღვრულ შესაბამის

დასასრული მე-8 გვერდზე

ფინანსური დარღვევები „დევნილთა მომსახურების სააგენტოს“ პროგრამებში

მე-7 გვერდიდან

ორგანოსთან შეთანხმებას, თუ საჯარო დაწესებულებაში 30 დღეზე მეტი ვადით გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობა 5 ერთეულზე მეტია.

ვნახოთ, რა დარღვევები გამოავლინეს სახელმწიფო აუდიტორებმა ამ ნაწილში. 2022 წელს, სსიპ „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მომსახურების სააგენტოში“ დასაქმებული იყო 49 პირი – შრომითი ხელშეკრულებით, მათ შორის, პროგრამების ფარგლებში – 41, ხოლო აპარატის ადმინისტრაციაში – 12. აქედან, წლის განმავლობაში, 4 პირი, სხვადასხვა დროს, დასაქმებული იყო აპარატის ადმინისტრაციაში, ან პროგრამების ფარგლებში.

„აღნიშნული 49 შრომითი ხელშეკრულებიდან, 40 გაფორმდა 30 დღეზე მეტი ვადით. მიუხედავად ამისა, სააგენტოში 40 პირიდან, 35 პირთან შრომითი ხელშეკრულებები გაფორმდა შეთანხმების გარეშე. შესაბამისად, შრომის ანაზღაურების ჯამურმა მოცულობამ, შესამოწმებელ პერიოდში, 177 480 ლარი შეადგინა. ობიექტის განმარტებით, პროგრამის ფარგლებში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებთან გაფორმებული კონტრაქტები არ გაითვალისწინება შესათანხმებელ რაოდენობასთან, თუმცა კანონმდებლობით არ არის გამიჯნული და გამოკვეთილი განსხვავებული შეზღუდვები ორგანიზაციაში, აპარატის ადმინისტრაციასა და პროგრამის ფარგლებში, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების რაოდენობაზე“.

სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, კანონმდელობის მოთხოვნების დაუცველობის შედეგად, სააგენტოში, შესაბამისი ნებართვის გარეშე, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმდა 35 პირი და მათზე ჯამურად გაიცა 177 480 ლარის ოდენობის შრომის ანაზღაურება, რითაც შეიქმნა საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივად ხარჯვის რისკები.

დარღვევები თანამდებობრივ სარგოსა და მივლინების ხარჯებში

საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ პირთა გარდა, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირებისა თანამდებობრივი სარგოები აისახება საჯარო დაწესებულების საშტატო ნუსხაში. სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ სააგენტოში, დირექტორის ბრძანების საფუძველზე, რეორგანიზაციის გამო, თანამდებობიდან ინდივიდუალური ბრძანებით გათავისუფლებული 12 თანამშრომლიდან, 7 თანამშრომელზე გასაცემი სარგო დაანგარიშდა შეცდომით. კერძოდ, „შრომის ანაზღაურების“ მუხლით არასწორად დარიცხული და გაცემულ იქნა, ჯამში – 1.621 ლარი.

სააგენტოში შრომის ანაზღაურების პროცესში, სათანადო კონტროლის მექანიზმის არარსებობის შედეგად, ზედმეტად გაიხარჯა საბიუჯეტო რესურსები – 1.621 ლარის ოდენობით.

ქვეყნის შიგნით მივლინებისას, საცხოვრებელი ფართობის დაქირავების ხარჯების ანაზღაურებისთვის, მოხელეს ეძლევა თანხა არაუმეტეს საშუალო კლასის სასტუმროს ნომრის ღირებულებისა, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა.

„სააგენტოს მივლინებების შესწავლისას გამოვლინდა შემთხვევები, როცა არ არის დაცული კანონმდებლობით მოთხოვნილი ეკონომიურობის პრინციპები. კერძოდ, ფიქსირდება 6 ისეთი შემთხვევა ქვეყნის შიდა ტერიტორიაზე მივლინების ხარჯების ანაზღაურებისას, როცა სასტუმროში განთავსების დღიური ფაქტობრივი ხარჯი, დაახლოებით, ორჯერ აღემატება მივლინების იმავე ლოკაციაზე საშუალო კლასის სასტუმროს ნომრის ღირებულებას. ობიექტის განმარტებით, აღნიშნული გამოწვეული იყო იმით, რომ კონკრეტულ დროს საშუალო კლასის სასტუმროებში თავისუფალი ადგილები არ იყო, თუმცა ეს გარემოება დოკუმენტურად არ დასტურდება. არ იქნა გათვალისწინებული კანონისა და საქართველოს მთავრობის დადგენილების მოთხოვნები, რის შედეგად შეიქმნა სამივლინებოდ გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიურად გახარჯვის რისკები“.

გარდა ამისა, სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ 2022 წელს, „შრომის ანაზღაურების“ მუხლიდან განხორციელებული სახაზინო გადარიცხვები არ ემთხვეოდა შემოსავლების სამსახურში წარდგენილ განაცემთა შესახებ ინფორმაციას. მაგალითად, სააგენტოს ერთ-ერთ თანამშრომელზე გადახდილი დარიცხული ხელფასის – 5 265 ლარის ნაცვლად, განაცემთა შესახებ ინფორმაციაში არასწორად წარდგენილ იქნა 3 960 ლარი ანუ 1 305 ლარით ნაკლები; სააგენტოს 3 თანამშრომელზე დარიცხული ხელფასიდან გადახდილი საშემოსავლო გადასახადის – 3 263 ლარის ნაცვლად, განაცემთა შესახებ ინფორმაციაში წარდგენილ იქნა 1 930 ლარი ანუ 1 333 ლარით ნაკლები.

შესაბამისად, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ შემოსავლების სამსახურში წარდგენილ იქნა არასწორი ინფორმაცია დარიცხული და გადახდილი საშემოსავლო გადასახადის შესახებ, ჯამში – 3 235 ლარის ოდენობით, რასაც კორექტირება და ფაქტობრივ მონაცემებთან შესაბამისობაში მოყვანა სჭირდებოდა. მეტიც, საგადასახადო გადასახადების ადმინისტრირების პროცესში არსებული კონტროლის მექანიზმის არარსებობამ განაპირობა არაზუსტი, ფაქტობრივ მონაცემებთან შეუსაბამო ინფორმაციის წარდგენა.

დარღვევები კონტროლის მექანიზმებში

სააგენტოში თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადებისა და სამუშაო ტერიტორიის დატოვების დროის შესაბამისად ნამუშევარი საათების აღრიცხვა, ყოველდღიურად წარმოებს თანამშრომელთა მოძრაობის აღრიცხვის ჟურნალში. მას შემდეგ, რაც სახელმწიფო აუდიტორებმა სააგენტოს 2022 წლის მოძრაობის ჟურნალი შეისწავლეს, დაადგინეს, რომ მისი მონაცემები ვერ იქნება ჩათვლილი ზუსტ და საკმარის მტკიცებულებად, თანამშრომელთა ფაქტობრივად ნამუშევარი საათების იდენტიფიცირებისათვის.

„ჟურნალი წარმოადგენს ფორმალური ხასიათის დოკუმენტს. მისი მონაცემების მიხედვით, სამსახურში გამოცხადებისა და გასვლის დრო, აბსოლუტურად ყველა შემთხვევაში, ზუსტად ემთხვევა შინაგანაწესით დადგენილ დროს (09:00 სთ – 18:00 სთ), რაც შეუძლებელია ასახავდეს თანამრომელთა მოძრაობის ფაქტობრივად, რეალურ დროებს. გარდა ამისა, აუდიტის ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა თანამშრომელთა მოძრაობის აღრიცხვის ელექტრონული ტურნიკეტის მონაცემები, რომლის მიხედვით განსაზღვრული თანამშრომელთა ფაქტობრივად ნამუშევარი დროის ხანგრძლივობა შეადგენს მთლიანი სამუშაო საათების მხოლოდ 23%-ს, რაც დამატებითი მტკიცებულებაა ჟურნალის ფორმალური ხასიათის წარმოების შესახებ“.

გარდა ამისა, 2022 წელს, სააგენტოში თანამშრომელთა მისვლა-წასვლის აღრიცხვის ჟურნალში დარეგისტრირებული მონაცემების სისწორის მკტიცებულების არარსებობის გამო, შეიქმნა სამუშაო დროის აღრიცხვის ფურცლის, ტაბელის არასწორად შედგენისა და შესაბამისად, შრომის ანაზღაურების არასწორად დაანგარიშების რისკები.

აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ სამსახურებრივ ავტომობილებზე ფიქსირდება არასამუშაო დღეებში (შაბათ– კვირა) და არასამუშაო საათებში – საწვავის ჩასხმის 11 (ჯამში, 355 ლიტრი) ისეთი ფაქტი, რაც ავტომობილების მოძრაობის აღრიცხვის ჟურნალში არ იყო აღრიცხული.

აქედან გამომდინარე, სახელმწფო აუდიტორების მტკიცებით, ვერ იდენტიფიცირდება სამსახურებრივი ავტომობილების მიზნობრივად გამოყენების დანიშნულება, რაც ქმნის საბიუჯეტო რესურსების არადანიშნულებითა და არაეფექტიანად ხარჯვის რისკებს.

სამართალი

№32 30 აგვისტო 2023 წ

სერიული ქურდობები თბილისში

როგორ გახდა უნიჭიერესი სტუდენტი დანაშაულებრივი ჯგუფის მეკავშირე

ბათო ჯაფარიძე

დღევანდელი რეალობა მწარე და შემაშფოთებელია – ქურდობის შემთხვევები ძალიან გახშირდა და სამწუხაროდ, სამართალდამცავები უძლურნი არიან, რამე შეცვალონ. საქმე ის გახლავთ, რომ დამნაშავეები, ძირითადად, არასრულწლოვნები არიან.

„არასრულწლოვნებს, ათი შემთხვევიდან, რვა შემთხვევაში, ფაქტზე ვაკავებთ. ისინი ან სასურსათო მაღაზიას ქურდავენ, ან ელექტროსაქონელს იპარავენ, ირთვება სიგნალიზაცია და დაცვის პოლიცია, ან ჩვენ ვასწრებთ მისვლას და დაკავებას. ამის შემდეგ იწყება ყველაზე უსიამოვნო პროცედურა – ვარკვევთ, რომ დაკავებულები არასრულწლოვნები არიან, ხელწერილის საფუძველზე, შინ ვუშვებთ და ვალდებულებას ვაკისრებთ, რომ მეორე დღეს გამოცხადდნენ პოლიციაში მშობელთან ერთად, რათა პირობა დადონ, რომ ანალოგიურს აღარ გაიმეორებენ. ასეთ პირობას ზოგი მეათედ და მეოცედ დებს, მაგრამ სწორედ იმის გამო, რომ კანონი სხვა რამის უფლებას არ გვაძლევს, ვერაფერს ვცვლით“, – გვეუბნება გამომძიებელი.

თუმცა, ორიოდე წლის წინ, მოხდა შემთხვევა, რომელსაც პოლიცია დიდი ინტერესით იძიებდა და მაშინ, როცა ეგონა, რომ ერთ კონკრეტულ ბანდას დასდევდა, სრულიად შემთხვევით, სხვა დამნაშავეც გააბა მახეში.

თბილისის რამდენიმე უბანში ქურდობის შემთხვევები გახშირდა. ვიღაცები ბინას პროფესიონალურ დონეზე ასუფთავებდნენ, მაგრამ საინტერესო და უცნაური ის იყო, რომ ყველა შემთხვევაში, ოჯახის წევრები იმ პერიოდისთვის, დასასვენებლად იყვნენ წასულნი ანუ ქურდებმა ზუსტად იცოდნენ, რომ შინ არავინ იქნებოდა. დაიწყო დაზარალებულთა წრის შესწავლა, მაგრამ რად გინდა – მათ ერთმანეთთან კავშირი არ ჰქონდათ, არ იცნობდნენ, არ იკვეთებოდნენ. თავიდან სამართალდამცავებმა იფიქრეს, რომ ყველა მათგანი რომელიმე კონკრეტულ ტურისტულ კომპანიას სტუმრობდა და ინფორმაცია იქიდან ჟონავდა, მაგრამ ეს ვერსიაც არ გამართლდა – მათი უმრავლესობა ტურისტულ კომპანიას საერთოდ არ სტუმრობდა, თავად გეგმავდა დასვენებას საქართველოსა, თუ საზღვარგარეთის კურორტებზე. გამომძიებლები კი ხვდებოდნენ, რომ საქმე გამოცდილ დამნაშავეებთან ჰქონდათ, მაგრამ ვერაფრით აეხსნათ, როგორ შეიძლებოდა, გაეგოთ, თანაც სხვადასხვა უბანში, ერთმანეთისთვის სრულიად უცნობი ადამიანებისგან, ვინ, როდის და სად აპირებდა წასვლას, ან ვინ, როდის არ იქნებოდა სახლში?! იმაზე ფიქრი, რომ მათ ყველა უბანში ჰყავდათ მეგობრები და თანამზრახველები, რომლებიც ამ ინფორმაციას აწვდიდნენ, სისულელე იყო, მაგრამ რაღაცნაირად ხომ იგებდნენ, ყველაფერ ამას?!

მორიგ ქურდობას ლამის მსხვერპლი მოჰყვა. ოჯახი დასასვენებლად წავიდა, ქურდები ბინაში შევიდნენ და სრულიად მოულოდნელად, იქ ოჯახის უფროსის დედა, მოხუცი ქალი აღმოაჩინეს, რომელმაც ერთხელ დაყვირება მოასწრო, მერე კი ვაზა დააფშვნეს თავზე და... ქალი ამბობდა, შვილმა დამტოვა ბინაში, რადგან თუთიყუში გამომეკვება და ყვავილებისთვის წყალი დამესხა. რაც შეეხება ქურდს, მე მხოლოდ ერთი დავინახე და ვერ გეტყვით, მეორე ან მესამე იყო, თუ არაო. შინ სასწრაფოდ დაბრუნებულმა ოჯახის უფროსმა ავტომობილისთვის შეგროვებული ფული მოიძია და ვერ ნახა – ქურდს, ან ქურდებს მისი აღება და წაღება მოესწროთ, თუმცა დაზარალებულმა ხელი ზედა მეზობელს დაადო, ორი ბიჭი ცხოვრობს, ორივე ნარკომანია და სავარაუდოდ, წამლის ფულისთვის იქურდეს. რაც მთავარია, როცა მივდიოდით, ისინი ეზოში იყვნენ და დაინახეს, მანქანაში ბარგი რომ ჩავდეთ და წავედითო. სამართალდამცავები პოტენციურ ეჭვმიტანილებს დაადგნენ. ისინი ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ კი იყვნენ, მაგრამ ქურდობაზე ხელები გაასავსავეს, არაფერი ვიცით, წინა ღამეს იმაზე „ვკაიფობდით“, ადამიანი-ობობა რომ გაეძრო, თოკით ჩავიდა, ხელიც კი დაგვიქნია, მერე ისევ ზევით ავიდა და თოკიც აკეცაო. გამომძიებლები სახლის სახურავზე ავიდნენ და დარწმუნდნენ, რომ ვიღაცას მართლაც გამოეყენებინა ალპინისტისთვის საჭირო აღჭურვილობა, სპეციფიური ნახვრეტები იყო სახურავზე და გამოდიოდა, რომ ის ვიღაც თოკით ჩაძვრა. როცა დაზარალებულს ამის შესახებ უთხრეს, მან კეფა მოიქექა, ალპინისტების კლუბის წევრი მე თავად ვარ და იქ სამმა ადამიანმა იცოდა, რომ მანქანისთვის ფული მქონდა შეგროვებული და ყიდვას ვაპირებდიო. დაკითხვაზე სამივე დაიბარეს და პარალელურად, სამივეს ბინის ჩხრეკა ჩაატარეს. ფული ერთ-ერთ მათგანთან აღმოჩნდა, რომელსაც, თურმე, კრედიტი ჰქონდა აღებული და მის დაფარვას აპირებდა. ის, რომ მეგობარი შინ არ იქნებოდა, ზუსტად იცოდა და... საქმე კი გაიხსნა, მაგრამ გამომძიებლების სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა – დაკავებულს კავშირი არ ჰქონდა სერიულ ქურდობებთან.

სერიული დამნაშავეები არ ჩერდებოდნენ, საქმეს წარმატებით აგრძელებდნენ და რაც მთავარია, ასი პროცენტით ზუსტად იცოდნენ, ვინ არ იქნებოდა კონკრეტულ მომენტში სახლში. სამართალდამცავებმა დაზარალებულების შესწავლა დაიწყეს და სწავლობდნენ ყველაფერს, გარემოცვას, ადგილებს, სადაც ხშირად დადიოდნენ, უმნიშვნელო დეტალებსაც კი და დაახლოებით, ერთ კვირაში, IT-სპეციალისტმა გახარებულმა თქვა – „მივხვდი!“ როგორც გაირკვა, აბსოლუტურად ყველა დაზარალებულს, შვებულების დაწყების წინ, სოციალურ ქსელში, საკუთარ გვერდზე, დადებული ჰქონდა სტატუსი, რომელთა შინაარსი, დაახლოებით, ერთი და იგივე იყო – „ხვალიდან შვებულება იწყება, მივდივართ!“ გამოდიოდა, რომ დამნაშავეები ამ ინფორმაციას სოციალური ქსელიდან იღებდნენ, მაგრამ ერთია გამოქვეყნებული სტატუსი და მეორე – ამ ადამიანების მისამართი, საცხოვრებელი ადგილი და ა.შ. IT-სპეციალისტმა თამამად თქვა, რომ თუ ადამიანს შესაბამის ბაზებზე აქვს წვდომა, მარტივად შეუძლია, სახელითა და გვარით კონკრეტული ადამიანის მისამართი გაიგოს, მით უმეტეს, საუბარი ოჯახზეა ანუ ცოლ-ქმარზე და ორი ადამიანის სახელითა და გვარით ყველაფრის გაგებაა შესაძლებელიო. ახლა, საინტერესო ის გახლდათ, ვის შეიძლებოდა ჰქონოდა შესაბამის ბაზებზე წვდომა და აქაც თავისი სიტყვა IT-სპეციალისტმა თქვა – შეიძლება, ვინმე ჩემი კოლეგა იყოს, რომელიც თითო მისამართის გაგების სანაცვლოდ, მაგალითად, 500 დოლარს იღებს და მთელი დღე კომპიუტერს უზის, სხვას არაფერს აკეთებსო.

გამომძიებლებმა საქმეში მთელი IT -პერსონალი ჩართეს და სწორედ მათ დაადგინეს, რომ სოციალურ ქსელში, დაზარალებულების გვერდებს ერთი პიროვნება სტუმრობდა. ის პროფესიით IT -სპეციალისტი იყო, თუმცა სტუდენტი და როგორც სასწავლებელში დაახასიათეს, უნიჭიერესი სტუდენტიც, თუმცა ბოლო დროს, ლექციებს დიდად არ სწყალობდა და ისიც გაარკვიეს, რომ მთელი დღეები სახლში იჯდა და საჭმელსაც კი ინტერნეტით უკვეთავდა. ძირითადად, პიცას მიირთმევდა და მუდმივად ერთი და იგივე კომპანიის მომსახურებით სარგებლობდა. სამართალდამცავებმა პიცის დამტარებლის მაისური ჩაიცვეს და კარზე მშვიდად დააკაკუნეს. ეჭვმიტანილმა კარის მეორე მხრიდან გამოსძახა, პიცა არ შემიკვეთავსო, მაგრამ „აუხსნეს“, რომ რადგან მუდმივი კლიენტი იყო, კომპანიამ ერთი ცალი პიცა უფასოდ გაუგზავნა. კარი მაშინვე გააღო და ოთახში ოთხი ოპერ-მუშაკი შევარდა.

დაკავებულის კომპიუტერის შესწავლის შემდეგ, ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. სტუდენტმა თქვა, რომ ბინის ქურდები მხოლოდ ერთხელ ნახა, დანარჩენი კი ვირტუალური ურთიერთობა იყო. ის მათთვის სასურველ მისამართებს პოულობდა, ეუბნებოდა, როდიდან იქნებოდა ბინა ცარიელი და სანაცვლოდ, თითო მისამართში... სულ რაღაც 200 დოლარს იღებდა. სამართალდამცავებმა ძალიან მარტივი, მაგრამ გენიალური გეგმა მოიფიქრეს. სტუდენტს ბინის ქურდებისთვის მიაწერინეს, რომ ერთ-ერთი ბინა მხოლოდ ორი დღე იქნებოდა ცარიელი, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ცოლ-ქმარს სოციალურ ქსელში ძვირადღირებულ მანქანებთან გადაღებული ფოტოები ედოთ, მსუყე ლუკმა იქნებოდა. ბინაში ოპერმუშაკები ჩასაფრდნენ და სტუმრებს დაელოდნენ.

საინტერესო ის გახლდათ, რომ ღამის 02.00 საათისთვის, კართან ჩურჩული ატყდა – ორი მამაკაცი დაობდა, ვის უნდა გაეხსნა კარი და რამდენ ხანში. ერთი უმტკიცებდა, წუთნახევარზე მეტი არ დამჭირდებაო, მეორე ორ წუთს ამბობდა და თან მეგობარს ანამუსებდა, შენ წინაზეც ასე თქვი და ორი წუთი დაგჭირდაო. როგორც იქნა, ბინის ქურდები შეთანხმდნენ, კარი გახსნეს და ბინაში შევიდნენ. სამართალდამცავები იარაღმომარჯვებულნი ელოდნენ, კიდევ ოთხი პოლიციელი, იმავე სართულზე არსებული ბინიდან გამოვიდა და დამნაშავეებს გასაქცევი გზა ჩაუკეტა. საქმე გახსნილი იყო, სქემა – გაშფრული.

„იდეა ერთობლივად გაგვიჩნდა. არ არსებობს ბინის საკეტი, რომელსაც ვერ გავხსნით და მთავარი იყო, შესაბამისი „ნაკოლი“ გვქონოდა. ქართველებს გვიყვარს მატრაკვეცობა და სოციალურ ქსელში იმის დაანონსება, რომ დასასვენებლად მივდივართ. გვიხაროდა, თუ ოჯახი დასასვენებლად საზღვარგარეთ მიდიოდა, ესე იგი, სახლში მსუყე ნადავლი იქნებოდა. ამიტომ, მთავარი პრობლემა „აიტიშნიკის“ მონახვა იყო, რომელიც შემთხვევით ვიპოვეთ. არ გვეგონა, თუ დაგვიჭერდით, რადგან ის დებილი ამბობდა, ყველაფერს ისე ვაკეთებ, ჩემს კვალზე ვერასოდეს გამოვლენო და თუ იმის კვალზე ვერ გავიდოდა გამოძიება, ჩვენც ვერასდროს გვიპოვიდა“, – განაცხადეს დაკავებულებმა.

ზარი საიქიოდან

ბათო ჯაფარიძე

სუიციდი, ალბათ, ყველაზე ტრაგიკული შემთხვევაა, როცა ადამიანი სიცოცხლეს ასრულებს. სუიციდამდე მისვლა მარტივი არ არის და ხშირად გაიგონებთ, ასეთი ადამიანები უნებისყოფოები არიანო, მაგრამ რაღაც განსაკუთრებული ძალა მაინც სჭირდება, რომ საკუთარი ნებით დაასრულო ყველაზე ძვირფასი, რაც გაგაჩნია – სიცოცხლე. არა, გეთანხმებით, რომ ბევრისთვის შვილების სიცოცხლე უფრო ძვირფასია, მაგრამ ეს შენია, პირადი და ამაზე დიდი არაფერი გაქვს. სამწუხაროდ, სუიციდი საქართველოში იშვიათი შემთხვევა არაა და ბოლო დროს, აღნიშნული ფაქტი ლუდომანებში მომრავლდა. აზარტულ თამაშებს აყოლილი და ყველას ვალებში ახლართული პირები თვითმკვლელობამდე ხშირად მიდიან. ასეთ დროს, სისხლის სამართლის საქმე თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით იღძვრება და იშვიათად, ვინმე რომ დააკავონ. ყველას თავისი ტრაგიკული ისტორია აქვს, რომელიც ერთმანეთს არასდროს ჰგავს.

როგორ მიიყვანა გერმა დედინაცვალი თვითმკვლელობამდე – მისტიკური კრიმინალური ამბავი

ხუთიოდე წლის წინ, დასავლეთ საქართველოში, ერთი შეხედვით, ბანალური შემთხვევა მოხდა – 45 წლის ქალმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, აივანზე ავიდა და გადმოხტა. ამის თვითმხილველი ათამდე ადამიანი იყო, რომლებმაც დაინახეს, როგორ იდგა დაახლოებით 10 წამი ქალი აივანზე, როგორ საუბრობდა მობილურით და შემდეგ როგორ გადმოხტა. რაღა თქმა უნდა, გაჩნდა ვერსია, რომ სიცოცხლის ბოლო წუთებში, ვიღაცას განსაკუთრებულ რამეზე ესაუბრებოდა და სწორედ იმ ვიღაცას უნდა სცოდნოდა მიზეზი, რა მოხდა სინამდვილეში. როგორც წესი, საქმე თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით აღიძრა და პირველ რიგში, გამომძიებლებმა იმ ტელეფონის ნომრის მფლობელის ვინაობის გარკვევა სცადეს, რომლიდანაც ქალს დაურეკეს. ნომერი გარდაცვლილის მეოღლეზე აღმოჩნდა გაფორმებული, მაგრამ... ქალის მეუღლე, ექვსი თვის წინ, ავარიაში დაიღუპა, რაც იმას ნიშნავდა, რომ მისი ტელეფონით სხვა სარგებლობდა. გამოძიებამ ისიც დაადგინა, რომ წყვილი უშვილო იყო, თუმცა მამაკაცს პირველი ქორწინებიდან 20 წლის ბიჭი ჰყავდა.

„6 წლის ვიყავი, მამა სახლიდან რომ წავიდა. ურთიერთობა თითქმის არ მქონია, იმის მიუხედავად, რომ მამა ცდილობდა ჩემთან სიახლოვეს, ამის უფლებას დედა არ მაძლევდა, მეუბნებოდა, რომ მამა ცუდი კაცი იყო და 6 წლის ასაკში, ასეთი რაღაცების დაჯერება მარტივია. მერე და მერე, როდესაც გავიზარდე, მამასთან ურთიერთობა, ასე თუ ისე, დავალაგე, მის მეუღლესაც დავუახლოვდი. ყველაფერ ამას დედისგან მალულად ვაკეთებდი და ახლაც, როცა მამა გარდაიცვალა, დედინაცვალთან ხშირი ურთიერთობა მქონდა, მოვდიოდი, ვცდილობდი, დავხმარებოდი. ამას მეზობლებიც დაადასტურებენ. რაც შეეხება მამას ტელეფონს, ის გასვენების მერე მოვიკითხეთ და ვერ ვიპოვეთ“, – განაცხადა გარდაცვლილის გერმა.

ქალის მეგობრებმა და მეზობლებმაც დაადასტურეს, რომ გარდაცვლილს გერზე მზე და მთვარე ამოსდიოდა. მეტიც, ამბობდა, ნეტავ, ჩემთან გადმოვიდეს საცხოვრებლადო, მაგრამ... მთავარი, რაზე საუბარსაც ყველა ერიდებოდა, გამომძიებლებისთვისაც დიდი მოულოდნელობა აღმოჩნდა. ქალი ამტკიცებდა, რომ ქმრის მობილური რეალურად კი არ დაიკარგა, არამედ ის ქმარმა საიქიოში წაიღო და იქიდან ურეკავდა. ის დარწმუნებული იყო, რომ სწორედ ქმრის ხმა ესმოდა და რაც მთავარია, მამაკაცი ისეთ დეტალებს იხსენებდა, რომლებიც მხოლოდ მათ იცოდნენ. სამართალდამცავებმა გერის დაკითხვა კიდევ ერთხელ გადაწყვიტეს და მან ყოყმანის შემდეგ დაადასტურა, რომ მამამისი არა მარტო დედინაცვალს, არამედ... მასაც ურეკავდა.

„თავიდან, როცა დედინაცვალმა მითხრა, მამაშენი მირეკავს და მესაუბრებაო, სიგიჟედ ჩავთვალე. აბა, როგორი დასაჯერებელია, რომ გარდაცვლილი საიქიოდან რეკავს. მამის ცხედარი რომ არ მენახა, ვიფიქრებდი, ცოცხალია-მეთქი და როცა არ მჯეროდა, დედინაცვალი მიბრაზდებოდა. შემდეგ კი, ზარი ჩემს ტელეფონზეც გაისმა. ხელის კანკალით ვუპასუხე და მამა მესაუბრა, ისეთი რამ მითხრა, რაც მართლა მარტო ჩვენ ვიცოდით და სხვამ არავინ. ამიტომ დავიჯერე, რომ ის იყო და სწორედ მან მთხოვა, დედინაცვლისთვის ყურადღება მიმექცია. შესაძლოა, ყველაფერი ეს სიგიჟედ გეჩვენებათ, მეც ასე ჩავთვლიდი, თავად რომ არ ვიყო ამ ყველაფრის მოწმე თუ მონაწილე“, – განაცხადა ბიჭმა.

რა თქმა უნდა, გამომძიებლებისთვის ყველაფერი სრული სიგიჟე იყო და ბიჭის მონათხრობი არავინ დაიჯერა, მაგრამ ქალის რამდენიმე მეზობელმა და მეგობარმა იგივე დაადასტურა, ის დარწმუნებული იყო, რომ ქმარს ესაუბრებოდა და ძალიან ბედნიერიც გახლდათო. ადვილი მისახვედრი იყო, რომ ქალის უბედურებით ვიღაც სარგებლობდა, მაგრამ ვინ? სიკვდილამდე რამდენიმე თვით ადრე, მამამ შვილი ბინაში ჩაწერა, ერთადერთი მემკვიდრეც ის ჰყავდა და რაც მთავარია, ქმრის გარდაცვალების შემდეგ, ქალმა ანდერძი შეადგინა, რომლის მიხედვითაც ბინას გერს უტოვებდა, აქაოდა, შემთხვევით, ჩემმა რომელიმე ნათესავმა რამე პრეტენზია რომ არ გამოთქვასო. ბიჭმაც იცოდა ამის შესახებ და ვინაიდან უძრავ ქონებაში (რომელიც საკმაოდ დიდი იყო და ძვირი ღირდა) მოცილე და მოწილე არ ჰყავდა, ქალის სიკვდილში ინტერესი არ უნდა ჰქონოდა.

საქმეში სპეციალისტები ჩაერთვნენ და დაადგინეს, რომ ზარი ტელეფონზე ყოველთვის ერთი და იმავე წერტილიდან ხორციელდებოდა, შემდეგ ტელეფონი ითიშებოდა და მას ან იქვე ტოვებდნენ, ან თან მიჰქონდათ. ბიჭსაც სწორედ იმ წერტილიდან ურეკავდნენ. სამართალდამცავებმა ადგილი დაათვალიერეს და მიხვდნენ, რომ იქაურობა შემთხვევით არ იყო შერჩეული – ირგვლივ კაციშვილის ჭაჭანება არ იყო და შემთხვევით თუ გაივლიდა ვინმე. ქალის სიკვდილის შემდეგ, ტელეფონი აღარ ჩართულა და გამომძიებლებს არც ჰქონდათ იმედი, რომ ჩაირთვებოდა.

პარალელურად, ექსპერტიზის დასკვნა მოვიდა, რომელმაც ქალის სხეულში დიდი ოდენობით ფსიქოტროპული წამლების კვალი აღმოაჩინა. ბიჭმა მხრები აიჩეჩა, არასდროს დამინახავს, დედინაცვალს რამე წამალი მიეღოსო და მეგობრებმაც დაადასტურეს, წამალი არც ჩვენი თანდასწრებით დაულევიაო. რაც მთავარია, აბსოლუტურად ყველა პრეპარატი რეცეპტით იყიდებოდა და მოკვლევის მიუხედავად, ვერ იპოვეს კლინიკა და ექიმი, რომელსაც გარდაცვლილის სახელზე აღნიშნული პრეპარატი ექნებოდა გამოწერილი. გამოდიოდა, რომ მას ვიღაც არალეგალურად ამარაგებდა, მაგრამ რატომ და რისთვის? გამომძიებლებმა ქალის ბინა გაჩხრიკეს და წამლის კვალს ვერ მიაგნეს. წამლის კვალი არ იყო არც ქალის ჩანთაში, არც – ჯიბეებში, არც – ლოგინის გვერდით, ტუმბოზე.

„იქნებ, ქალი საკუთარი ნებით არ იღებდა წამლებს და მას საჭმელში, ან სასმელში ურევდნენ, რათა გონება უფრო დაბინდვოდა და მეტად დაეჯერებინა, რომ საიქიოდან მართლაც ქმარი ურეკავდა?! ასეთ შემთხვევაში, თვითმკვლელობამდე მიყვანაც არ იქნებოდა რთული, რადგან ფსიქოტროპულების ზემოქმედების ქვეშ, ქმარს ტელეფონით რომ „ეთქვა“, ჩემთან წამოდიო, შესაძლოა, ქალი დათანხმებულიყო და გადამხტარიყო“, – ასეთი იყო გამოძიების მორიგი ვერსია და სამართალდამცავებმა... ბიჭის სახლის ჩხრეკა გადაწყვიტეს.

იმას, სადაც ბიჭი ნამდვილ დედასთან ერთად ცხოვრობდა, სახლს ნაკლებად უწოდებდით. ეს უფრო მიწური იყო, უფანჯრო ოთახით, საერთო საპირფარეშოთი და ჩაშავებული კედლებით. ძალოვნებმა ყველაფერი გულდასმით შეისწავლეს და ფსიქოტროპული აბების სამალავსაც მიაგნეს. როცა ბიჭმა დაინახა, რომ პოლიციელებმა აბები იპოვეს, დედას ცრემლიანი თვალებით შეხედა და მხოლოდ ერთი სიტყვა უთხრა – მაპატიე! ძალოვნებმა ბიჭი დააკავეს.

„როცა მამამ მიგვატოვა, ახალი ბინა მიღო და იმ ბინაში საყვარელი გადაიყვანა, მე და დედა კი, ამ მიწურში გამოგვკეტა. ყველას იდეალური ეგონა მამაჩემი, რეალურად, ყურადღებას არ გვაქცევდა, ფეხებზე ვეკიდეთ. როცა გავიზარდე, მივხვდი, რომ მოქმედების დრო იყო და ჩემი კუთვნილი უნდა მიმეღო. მამაჩემის სიკვდილი ჩემს გეგმებში ნამდვილად არ შედიოდა, მინდოდა, იმ ქალს დაშორებოდა და დედაჩემს დაბრუნებოდა. მეგონა, რომ მის საყვარელს შევაბამდი, მაგრამ მისმა სიკვდილმა ყველაფერი არია და შემდეგ ეს გეგმა მოვიფიქრე, ერ-ერთ ფილმში მქონდა ნანახი. მამას წარსულზე ბევრს ვეკითხებოდი, მაინტერესებდა, რა სისუსტეები ჰქონდა მის საყვარელს, ამიტომ ბევრი რამ ვიცოდი და მათ შორის, ინტიმური დეტალებიც. მერე მამას ტელეფონი მოვიპარე, გამოვიყენე და გაგიჟება დავუწყე, თანაც ფსიქოტროპულებს ვახმარდი. საბოლოო ჯამში, შედეგი მივიღე, მინდოდა, ახალ სახლში დედა გადამეყვანა, დედა, რომელმაც სიმწრით გამზარდა და ერთოთახიან ჯურღმულს თავი ვერ დააღწია. რაც შეეხება ზარს, მეგობარს ვთხოვდი, ჩემს ტელეფონს დაგიტოვებ, დავრეკავ და ზარი რომ შემოვა, უბრალოდ უპასუხე-მეთქი. მივდიოდი, ვრეკავდი და მეგობარი პასუხობდა. შემდეგ, 15-20 წუთი, უბრალოდ ჩართული ტელეფონები იდო ერთ ადგილზე, მერე კი უკან ვბრუნდებოდი“, – განაცხადა ბიჭმა.

თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით, მას სასამართლომ 6-წლიანი სასჯელი შეუფარდა, ბინა კი... ბინა, როგორც ერთადერთ მემკვიდრეს, ბიჭის ბიოლოგიურ დედას ერგო.

ბათო ჯაფარიძე

სამწუხაროდ, ავტოავარიები საქართველოში ძალიან გახშირდა და უფრო სამწუხარო ის გახლავთ, რომ ავარია, უმეტესწილად, სავალალო შედეგით სრულდება. გაიხსენეთ, თუნდაც ბოლო ერთი თვის განმავლობაში, რამდენი ავტოსაგზაო შემთხვევის შესახებ გაავრცელა ინფორმაცია ამა თუ იმ საინფორმაციო საშუალებამ და რამდენი დასრულდა გარდაცვალებით... თანაც, არცთუ იშვიათად, არასრულწლოვნების გარდაცვალებით. ჩემი აზრით, რაც შეიძლება მალეა მისაღები კანონი, რომელიც ნასვამ მდგომარეობაში ავტომობილის მართვაზე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობასა და მართვის მოწმობის სამუდამო ჩამორთმევაზე იქნება აგებული და ამასთან, ძალიან, ძალიან უნდა გაძვირდეს ჯარიმა, კონკრეტულად, სიჩქარის გადაჭარბებაზე. სხვა გამოსავალი, უბრალოდ, არ ჩანს.

ეჭვიანმა ცოლმა პოლიციელ ქმარს საპატრულო მანქანა მოპარა

სტუდენტზე უიმედოდ შეყვარებული ლექტორი და საბედისწერო ავარია

მაშინ, როცა ნაციონალური მოძრაობა ძალაუფლების ეშხში შედიოდა და ახალი, საპატრულო პოლიციის შექმნით იწონებდა თავს, თბილისში ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა – გადასასვლელზე, სტუდენტსა და ლექტორს, სწორედ საპატრულო პოლიციის ახალი ავტომობილი დაეჯახა. რაღა თქმა უნდა, შემთხვევა რეზონანსული უნდა გამხდარიყო, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ შევარდნაძის მილიციიდან სააკაშვილის პოლიციაზე გადასული უწყება მოსახლეობის ნდობის მოპოვებას ცდილობდა, საქმე მიჩქმალეს და იმის გარკვევა დაიწყეს, რა მოხდა, რატომ მოხდა და ვინ მართავდა საპატრულო მანქანას.

„ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა. გოგონა და მამაკაცი რაღაცაზე კამათობდნენ, თან გზაზე გადმოდიოდნენ. ამ დროს, მოსახვევიდან, მთელი სისწრაფით, საპატრულო პოლიციის მანქანა გამოვარდა და ორივე ჰაერში აყარა. მაშინვე დაზარალებულებს მივცვივდით, ვიღაცამ სასწრაფოში დარეკა, ხოლო როცა საპატრულო მანქანასთან მივედით, შიგნით არავინ იჯდა“, – ასეთი იყო თვითმხილველთა ჩვენება.

სამაგიეროდ, ადგილზე მისული ექსპერტ-კრიმინალისტები იყვნენ იმედიანად. როგორც ჩანს, აირბაგის გახსნის მიუხედავად, მძღოლმა თავი ვერ შეიმაგრა და გვერდითა მინას მიარტყა, გატეხა და ნამსხვრევებზე სისხლის პატარა ლაქები დატოვა. ეს იყო არა მარტო უტყუარი მტკიცებულება, ვინ იჯდა საჭესთან, არამედ, საქმეს ძალიან აიოლებდა და შეიძლებოდა, გამომძიებლებს ზეიმი დაეწყოთ. ეკიპაჟის ნომრით იმის გარკვევაც მარტივი გახლდათ, რომელი პოლიციელები მოძრაობდნენ აღნიშნული მანქანით. თუ გახსოვთ, მაშინ სააკაშვილმა საპატრულოში გოგონებიც მიიწვია და საპატრულო ეკიპაჟში შერეული წყვილებიც არცთუ იშვიათობა იყო. ახლაც ამ შემთხვევასთან გვქონდა საქმე – მანქანა ქალსა და მამაკაცზე იყო მიმაგრებული და პატრულის ორივე თანამშრომელი საგამოძიებო უწყებაში მალევე მიიყვანეს.

„დილიდან ძალიან ცუდად ვიყავი, სამსახურში წასვლა ვერ მოვახერხე, დავრეკე და ხელმძღვანელობა საქმის კურსში ჩავაყენე. ამის შემდეგ, სასწრაფოს გამოვუძახე და საავადმყოფოშ გადამიყვანეს. სასწრაფოში რომ ვჯდებოდი, ფეხი ამიცურდა, დავეცი, თავი დავარტყი და დაზიანება ამიტომ მაქვს“, – განაცხადა საპატრულო ეკიპაჟის წევრმა ქალბატონმა და ამით ახსნა საფეთქელთან ის იარა, რომელსაც გამომძიებლები უკვე ეჭვით უყურებდნენ. ის, რომ მისი მეწყვილე იმ დღეს სამსახურში არ იყო, ეკიპაჟის მეორე წევრმა მამაკაცმაც დაადასტურა, ისიც თქვა, მარტო ვმოძრაობდი, ერთ-ერთ კორპუსთან გავაჩერე მანქანა, მეგობრისთვის რაღაც უნდა გამომერთმია, რომ გამოვედი, ავტომობილი არ დამხვდა, მეგონა, კოლეგები გამეხუმრნენ, ვინ გაბედავდა პატრულის მანქანის მოპარვას, მაგრამ მალევე დამირეკეს და მომხდარის შესახებ მითხრესო.

ამ დროს ექსპერტიზის დასკვნაც მოვიდა, სადაც შავით თეთრზე ეწერა, რომ საჭესთან, სავარაუდოდ, ქალი იჯდა, რადან შუშის ნამსხვრევებზე აღმოჩენილი სისხლი, სწორედ ქალს ეკუთვნოდა. რა თქმა უნდა, ეკიპაჟის წევრ ქალბატონს სისხლის ანალიზი აუღეს და ყველა დარწმუნებული იყო, რომ პასუხი დადებითი იქნებოდა, მაგრამ ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, საპატრულო ეკიპაჟის წევრის სისხლი შუშის ნამსხვრევებზე აღმოჩენილ ნიმუშს არ დაემთხვა. ამავდროულად, სასწრაფო დახმარების ბრიგადამ პატრულ-ინსპექტორის სიტყვები დაადასტურა ანუ ქალი მართალს ამბობდა. მაშ, ვინ შეიძლებოდა მჯდარიყო საჭესთან? სამწუხაროდ, თვითმხილველები ვარ ამბობდნენ, ვინ იჯდა საჭესთან, რადგან მათი მთელი ყურადღება დაზარალებულებისკენ იყო მიპყრობილი.

გამოძიებამ მალე სხვა რამეც გაარკვია – ლექტორი სტუდენტზე იყო შეყვარებული და ოჯახიდან წასვლას აპირებდა. თავის მხრივ, სტუდენტი საკმაოდ ხანში შესულ ლექტორს იმედს არ აძლევდა და ეუბნებოდა, რომ ცოლად არ გაჰყვებოდა. თვითმხილველთა მიერ მოსმენილი ცალკეული ფრაზების მიხედვით, მამაკაცი კვლავ სიყვარულს ეფიცებოდა გოგონას, ის კი კატეგორიულად ითხოვდა, შემეშვი, ოჯახს მიხედეო. გაჩნდა ვერსია, რომ საპატრულო ეკიპაჟის მანქანა შესაძლებელი იყო, ლექტორის ცოლს, ან შვილს გაეტაცებინა (მას მოზრდილი გოგონა ჰყავდა) და ავტოსაგზაო შემთხვევა გამიზნული ყოფილიყო. ორივე დაკითხვაზე დაიბარეს და იმის მიუხედავად, რომ სახეზე დაზიანება ერთსაც არ ეტყობოდა, სისხლის ანალიზი მაინც აუღეს. როგორც მოსალოდნელი იყო, ლექტორის ცოლ-შვილი უდანაშაულოები აღმოჩნდნენ და ეს მოსალოდნელი იმიტომაც გახლდათ, რომ დედა-შვილს ალიბი ჰქონდათ – შემთხვევის დროს, ქალი სამსახურში იყო, შვილი – სასწავლებელში.

საპატრულო ეკიპაჟის მეორე წევრის ანუ მამაკაცის მეგობარმა დაადასტურა, რომ ის სწორედ მასთან იყო, მანქანა ეზოში გააჩერა და სავარაუდოდ, მისი ერთადერთი შეცდომა ის გახლდათ, რომ... გასაღები ავტომობილში დატოვა. ერთი შეხედვით, ეს შეცდომაა, მაგრამ მეორე მხრივ, ძალიან რთული იყო იმის განსაზღვრა, რომ ვიღაც გაბედავდა და საპატრულო მანქანას გაიტაცებდა. გამოძიება ჩიხში შევიდა, არადა, ზემდგომები საქმის სასწრაფოდ გახსნას ითხოვდნენ და როგორც გვეუბნებიან, ეს ამბავი საპატრულის ყურამდეც მივიდა, რომელიც კატეგორიულად ითხოვდა არა მარტო საქმის გახსნას, არამედ, დამნაშავის უმკაცრესად დასჯას. ჩვენი წყარო მტკიცებით ფორმაში ამბობს, რომ მაშინ ძალაუფლების გემო ნაციონალებს ბოლომდე არ ჰქონდათ გათავისებული, თორემ „დამნაშავეს“ ნახევარ საათში იპოვიდნენ. სინამდვილეში, ვინმეს „შეტენიდნენ“ დანაშაულს იმისთვის, რომ პრეზიდენტის წინაშე თავი ემართლებინათ...

გამოძიების ანბანია, როცა რაღაც არ გამოდის, ყველაფერი ახლიდან უნდა დაიწყო, რადგან დიდია იმის ალბათობა, რომ ძიების პირველ ეტაპზე, რაღაც გამოგრჩა, რაღაცას ყურადღება ვერ მიაქციე. ასე მოიქცნენ აღნიშნული საქმის გამომძიებლები და დაკითხვაზე ისევ საპატრულოს ეკიპაჟის ორი წევრი დაიბარეს. ქალბატონი პირველივე დაძახებისთანავე გამოცხადდა, მამაკაცმა კი ბოდიშის მოხდით ითხოვა, ეგებ, ხვალ, ან ზეგ მოვიდე დაკითხვაზე, ცოლი მყავს ცუდადო და... გამომძიებელი მას შინ ეწვია. როგორც გაირკვა, ცოლს მუცელი მოეშალა, სადარბაზოში, კიბეზე ფეხი დაუცდა, დაგორდა და... გამომძიებელმა ქალის საფეთქელთან არსებულ იარას მიაქცია ყურადღება, თითქოს დასერილი იყო და მაშინვე იფიქრა, რომ პატრულის ეკიპაჟის თანამშრომელს შეეძლო, საჭესთან ცოლი დაესვა. ამიტომ, ქალი ექსპერტიზაზე წაიყვანეს, სისხლის ანალიზი აუღეს და.... ანალიზის პასუხი, შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილ სისხლის ნიმუშს დაემთხვა. საქმე გახსნილი იყო, მაგრამ ახლა საინტერესო ის გახლდათ, როგორ აღმოჩნდა ქალი საჭესთან და თანაც მარტო.

„ჩემი ქმარი იტყუება, როცა ამბობს, რომ იმ კორპუსში მეგობართან იყო. კი, მას იქ მეგობარი ნამდვილად ჰყავს, მაგრამ საყვარელიც ჰყავს და სწორედ მასთან დადიოდა. არადა, ბავშვს ველოდებოდით. იმ დღეს უკან ჩუმად გავყევი, რადგან სახლში იყო, როცა გაიგო, რომ მორიგეობა მარტოს მოუწევდა. მივხვდი, ამ შანსს ხელიდან არ გაუშვებდა, ამიტომ, როცა გავიდა, ათ წუთში, მეც წავედი და იმ კორპუსთან დავუდარაჯდი. დაახლოებით, ორ საათში მოვიდა, ბედნიერი სახით გადმოვიდა მანქანიდან, ხელში ტკბილეული და კონიაკის ბოთლი ეჭირა... ყვავილებიც... ჩემთვის, ცოლად მოყვანის შემდეგ, არასდროს უჩუქებია ყვავილები. სადარბაზოში მიიმალა და ფიქრი დავიწყე, რა უნდა მექნა. სკანდალის მოწყობას რა აზრი ჰქონდა, მეზობლები, უბრალოდ, სეირს შეხედავდნენ. ამიტომ, მანქანასთან მივედი და ვიფიქრე, დავამტვრევ, მერე რომ ახსნა მოუხდეს, სად იყო, ან რატომ დატოვა ავტომობილი უპატრონოდ-თქო. როცა მანქანასთან მივედი, ხელში ქვა მეჭირა და შევნიშნე, რომ გასაღები მანქანაში იყო. გეგმა შევცვალე, გადავწყვიტე, მანქანა წამეყვანა და სადმე დამემალა, ასე უფრო გამწარდებოდა. თავიდან ნელა დავძარი, მაგრამ მერე ტირილი დავიწყე, ისტერიკა დამემართა იმის გააზრებით, რომ მე, ორსული ქალი, ქმარს საყვარლებში დავდევდი. სიჩქარეს ძალაუნებურად მოვუმატე, ცრემლები ღაპა-ღუპით მომდიოდა და როცა თვალებს ვიწმენდდი, სწორედ მაშინ დავეჯახე ორ ადამიანს. თავიდან შოკი მქონდა, როცა მანქანიდან გადმოვედი, დავინახე, რომ ჩემთვის არავის ეცალა და იქაურობა დავტოვე. მეორე დღეს, მუცელი ამტკივდა და საავადმყოფოში წავედი, სწორედ იქ გავიგე, რომ ბავშვი დავკარგე. ქმარსაც და ექიმსაც ვუთხარი, რომ კიბეზე დავგორდი“, – დაასრულა ქალმა მოყოლა.

ქმარი საპატრულო პოლიციიდან დაითხოვეს, ქალს კი სასამართლომ 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ავტოპარკი განახლდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ავტოპარკი „რენაულტის“ და „შკოდას“ მარკის 130-მდე ახალი ავტომობილით განახლდა.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა, ვაჟა სირაძემ ახალი სატრანსპორტო საშუალებები დაათვალიერა და ტექნიკურ მახასიათებლებს გაეცნო.

ავტომობილები საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა რეგიონში გადანაწილდება. ახალ ავტოტრანსპორტს შორისაა მაღალი გამავლობის ავტომობილები, რომლებიც მაღალმთიანი რეგიონებისთვისაა განკუთვნილი. საპატრულო პოლიციის ავტოპარკის განახლება უფრო მეტად შეუწყობს ხელს პატრულ-ინსპექტორების საქმიანობის განხორციელებას. ინფრასტრუქტურის განახლების მიზანია საპოლიციო საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლება და პოლიციელებისთვის უკეთესი, კომფორტული სამუშაო პირობების შექმნა. საპოლიციო ინფრასტრუქტურისა და აღჭურვილობის განახლება-გაუმჯობესება მომავალშიც გაგრძელდება.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა მეხანძრე-მაშველებისთვის ცეცხლმედეგი ფორმები და აღჭურვილობა შეიძინა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის მეხანძრე-მაშველებისთვის 1000 ერთეული ცეცხლმედეგი ფორმა და სპეციალური აღჭურვილობა შეიძინა, რომლის ჯამური ღირებულება 3 491 000 ლარს შეადგენს. თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ცეცხლმედეგი ფორმები და სპეციალური აღჭურვილობა განსაკუთრებულ სიტუაციებზე რეაგირების მთავარი სამმართველოს ბაზაზე საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსმა თემურ მღებრიშვილმა, მოადგილესთან ზურაბ პავლიაშვილთან და სახანძრო-სამაშველო ძალების წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა. ახალი ცეცხლმედეგი საერთაშორისო „EN“-სტანდარტის ფორმა-აღჭურვილობა, სამომავლოდ სახანძრო-სამაშველო დანაყოფებში განაწილდება.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური განაგრძობს პირადი შემადგენლობის ევროპული სტანდარტების სპეციალური ფორმებით, აღჭურვილობითა და ავტო-ტექნიკით მომარაგებას, ასევე, სისტემატურად ახორციელებს ახალ ინფრასტრუქტურულ პროექტებს.

პოლიციამ თბილისსა და რეგიონებში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო – დაკავებულია 14 პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ბოლო პერიოდში ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისსა და რეგიონებში უკანონო იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღეს. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით 14 პირია დაკავებული.

დანაშაული 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა სამმართველოს თანამშრომლებმა, 1976 წელს დაბადებული ბ.ქ. დააკავეს. სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღეს ცეცხლსასროლი იარაღები, მჭიდი და 255 ვაზნა.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, წარსულში ნასამართლევები: 1975 წელს დაბადებული ზ.გ. და 1992 წელს დაბადებული ლ. კ. სხვადასხვა დროს დააკავეს. სამართალდამცველებმა ზ.გ. – ს ავტომობილის ჩხრეკის შედეგად ნივთმტკიცების სახით ამოიღეს ცეცხლსასროლი პისტოლეტი. ხოლო ლ.კ. – ს საცხოვრებელი ბინიდან ნივთმტკიცების სახით ამოღებულია ცეცხლსასროლი იარაღი და ვაზნები.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო მთავარი სამმართველოს და დეტექტივების მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, 1995 წელს დაბადებული მ.მ. და 1984 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ო.ც. სხვადასხვა დროს დააკავეს. პოლიციამ ბრალდებულების საცხოვრებელი სახლების ჩხრეკის შედეგად ნივთმტკიცებად ამოიღო ორი ცეცხლსასროლი იარაღი, პისტოლეტი, 2 მჭიდი და 31 ვაზნა.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1998 წელს დაბადებული მ.ი. დააკავეს. მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად ცეცხლსასროლი იარაღისთვის განკუთვნილი ვაზნები ნივთმტკიცებადაა ამოღებული.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, 1969 წელს დაბადებული, ო.ზ. დააკავეს. სამართალდამცველებმა, ბრალდებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას 2 პისტოლეტი, „გეკო“-ს ტიპის შაშხანა და ვაზნები ამოიღეს.

სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის მესტიისა და ზუგდიდის რაიონული სამმართველოების თანამშრომლებმა, სხვადასხვა დროს ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2 პირი – 1990 წელს დაბადებული მ.ა. და 1961 წელს დაბადებული კ.ს. დააკავეს. პოლიციამ ბრალდებულების საცხოვრებელი სახლების ჩხრეკის შედეგად ნივთმტკიცებად ამოიღო 3 ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, პისტოლეტი, 9 მჭიდი, 91 ვაზნა, გადაჭრილი სანადირო თოფი ე.წ ,,აბრეზი» და ხელყუმბარა. კახეთის პოლიციის დეპარტამენტის სიღნაღის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1998 წელს დაბადებული ნ.ხ. დააკავეს. სამართალდამცველებმა ბრალდებულის პირადი ჩხრეკის შედეგად ცეცხლსასროლი პისტოლეტი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

იმერეთის რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის, წყალტუბოს და ზესტაფონის რაიონული სამმართველოების თანამშრომლებმა, სხვადასხვა დროს ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2 პირი – 1971 წელს დაბადებული ო.რ. და 1978 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი შ.ლ. დააკავეს. პოლიციამ ბრალდებულების საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას 2 გადაჭრილი სანადირო თოფი და 3 ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღო.

გურიის პოლიციის დეპარტამენტის და ლანჩხუთის რაიონული სამმართველოების თანამშრომლებმა, სხვადასხვა დროს ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ორი პირი დააკავეს. სამართალდამცველებმა 1984 წელს დაბადებული გ.ს.-ს პირადი ჩხრეკის შედეგად ნივთმტკიცებად პისტოლეტი, 1 მჭიდი და 11 ვაზნა ამოიღეს. ხოლო, 1989 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ლ.გ.-ს საცხოვრებელი სახლიდან ნივთმტკიცებად ამოღებულია ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, გადაჭრილი სანადირო თოფი ე.წ ,,აბრეზი», 3 მჭიდი და 7ვაზნა.

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვისა და ტარების ფაქტზე გამოძიება, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს.

სტიქიის ზონაში მაშველების მიერ ორი ცხედარია ნაპოვნი – სამძებრო სამუშაოები გრძელდება

ონის მუნიციპალიტეტში, სტიქიის ზონაში სამძებრო სამუშაოების შედეგად მაშველების მიერ კიდევ ორი ცხედარია ნაპოვნი. მიმდინარე სამძებრო სამუშაოებთან დაკავშირებით ჟურნალისტებთან კომენტარი გააკეთა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსმა – თემურ მღებრიშვილმა.

„ინტენსიურად გრძელდება ძებნა-შველის ღონისძიება. დღეს სტიქიის ეპიცენტრიდან 40 კილომეტრის მოშორებით სოფელ სორის მიმდებარედ ნანახია,სავარაუდოდ, მამაკაცის ცხედარი. გარდა ამისა, იცით თქვენ, რომ სტიქიის ეპიცენტრში მიმდინარეობს წერტილოვანი გადამოწმებები. დაახლოებით აღებული გვაქვს საორიენტაციოდ 8 ჰექტარი ტერიტორია, სადაც დღეს ნანახი იქნა დამატებით ერთი მოზარდის ცხედარი და ასევე, ცალკეულად ერთი ადამიანის ფრაგმენტი, აქტიურად გრძელდება საძიებო სამუშაოები ამ დროისთვის კიდევ და დარჩენილია ორი ადამიანი, ვის ძებნა-შველის ღონისძიებასაც ვაგრძელებთ, გადასვენება როგორც წესი, მოხდება ქუთაისის სამხარაულის პროზექტურაში. ამ დროისთვის ველოდებით უკვე სამი ცხედრის იდენტიფიცირებას. საერთო ჯამში ნანახია 31 გარდაცვლილი ადამიანის ცხედარი. ვეძებთ ორი ადამიანის ცხედარს“, – განაცხადა თემურ მღებრიშვილმა.

„ბორჯღალოსნებმა“ შოტლანდიასთან მეექვსედაც წააგეს

საქართველოს მორაგბეთა ეროვნულმა ნაკრებმა, მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე, ბოლო ტესტ-მატჩი გამართა. გულშემატკივრებით გადავსებულ ედინბურგის სტადიონზე, რომელთა შორის ცნობილი მსახიობი, ჯერარდ ბატლერიც იმყოფებოდა, ჩვენი გუნდი შოტლანდიას დაუპირისპირდა. ეს „სქოთებთან“ ქართველთა მეექვსე ტესტი და მეექვსე მარცხი იყო. უდავოა, რომ შოტლანდია ჩვენზე ბევრად ძლიერია, მაგრამ შეხვედრა ისე დაიწყო, იმედის ნაპერწკალი გაჩნდა და სენსაციის სუნიც დადგა.

„ბორჯღალოსნებმა“ პირველი ტაიმი საუცხოოდ ითამაშეს, მეტოქეს გასაქანი არ მისცეს და სავარაუდოდ, არც მასპინძლები ელოდნენ ქართველთაგან ასეთ წინააღმდეგობას. მოულოდნელობის ეფექტი იყო თუ სხვა რამ, ბოლომდე თქმა ძნელია, მაგრამ ტაიმი საქართველომ 6:0 მოიგო. მეორე ნახევარში, მოედანზე გაბრაზებული შოტლანდია გამოვიდა , 5 ლელო დაგვიდო და საბოლოოდ, შეხვედრა 33:6 მორჩა ანუ მეორე ნახევარში, ქულის აღებაც ვერ მოვახერხეთ. საინტერესოა, რომ ერთ ტაიმში 5 ლელო, საქართველოს ნაკრებმა ბოლოს 2020 წელს... შოტლანდიასთან ტესტ-მატჩში გაუშვა.

რაც შეეხება მსოფლიოს ჩემპიონატს, საქართველო ტურნირს 9 სექტემბერს, ავსტრალიის ძლიერ ნაკრებთან მატჩით იწყებს. მწვანე კონტინენტის ბინადართა გარდა, ჯგუფში ჩვენი მეტოქეები უელსი, ფიჯი და პორტუგალია იქნებიან.

როცა მაჩანჩალა ჩემპიონატი გაქვს...

ირაკლი აზაროვი, ზუსტად ერთი წლის წინ, ბათუმის „დინამოდან“ სერბულ „ცრვენა ზვეზდაში“ გადავიდა. იმის მიუხედავად, რომ აზაროვს არც „დინამოში“ და არც ნაკრებში ძირითადში თამაშის პრობლემა არ ჰქონდა, სერბეთში კარიერა ისე ვერ აეწყო, როგორც ველოდით და იშვიათად ათამაშებდნენ. ჰოდა, ლოგიკურიც იყო, რომ ის გაასხვისეს და დონეცკის „შახტარს“ 3 მილიონ ევროდ მიჰყიდეს. ყველაზე საინტერესო ამ ამბავში ის გახლავთ, რომ ჩვენი ჩემპიონატის ერთ-ერთ გამორჩეულ ფეხბურთელს, „დინამო“ 300 ათას ევროდ შეელია, „ცრვენა ზვეზდამ“ კი ათჯერ ძვირად გაყიდა. არადა, ლოგიკურად, უთამაშებელი ფეხბურთელი ბევრად იაფად უნდა შეეძინათ დონეცკელებს, თუმცა...

საქმე ის გახლავთ, რომ ქართული კლუბები ევროთასებზე რბილად რომ ვთქვათ, ვერ ბრწყინავენ და შესაბამისად, ამ მილიონებს ფეხბურთელებში უბრალოდ არ იხდიან. სულ რომ ციდან ვარსკვლავებს წყვეტდეს, 3 მილიონს საქართველოში მოთამაშე ფეხბურთელში არავინ გადაიხდის. აი, საშუალო დონის ევროპულ ჩემპიონატებში მოთამაშეები კი, ყველაზე ცუდ შემთხვევაში, მილიონი ღირან...

გორის „დილას“ თავდამსხმელი, ბარბადოსელი ტერი გეილი ავსტრიულ „რაპიდში“ გადავიდა. ფეხბურთელს ევროპაში „ბარბადოსელი მესის“ მეტსახელით იცნობენ და როგორც ამბობენ, 21 წლის ფორვარდს დიდი მომავალი აქვს. შედეგად, „დილამ“ 700 ათასი ევრო მიიღო და უკვე ვრცელდება ინფორმაცია, რომ „რაპიდიდან“ ფეხბურთელის გადაბირების სურვილი სხვა კლიუბებსაც გაუჩნდათ და ისე, რომ გეილს ავსტრიაში ერთი მატჩიც არ ჩაუტარებია, შესაძლოა, 3 მილიონ ევროდ გაიყიდოს. იქნებ, ახლა მაინც მიხვდნენ ქართული კლუბების მესვეურები, რომ ევროთასებზე წარმატებული თამაშში არა მარტო უეფადან მიღებული სოლიდური შემოსავალია, არამედ, ფეხბურთელების ფასსაც ასამმაგებს.

ცნობისთვის, ახალ გუნდში აზაროვის დებიუტი უკვე შედგა. ირაკლიმ, უკრაინის ჩემპიონატის მორიგ ტურში, შეუცვლელად ითამაშა, „შახტარმა“ კი მეტოქე 2:0 დაამარცხა. ბარემ იმასაც გეტყვით, რომ აღნიშნულ შეხვედრაში, ძირითადში იყო დონეცკელთა მეორე ქართველი გიორგი გოჩოლეიშვილი, მაგრამ მეტოქესთან უხეშობის გამო, მსაჯმა მოედნიდან 37-ე წუთზე გააძევა და „შახტარმა“ მეტოქეს 10 კაცით მაინც მოუგო.

ჭიკაძე მოგებით დაბრუნდა



UFC-ის ქართველმა მებრძოლმა, ქვემსუბუქი წონის მე-9 ნომერმა გიგა ჭიკაძემ, ბოლო შეხვედრა 2022 წლის იანვარში გამართა და კარიერაში 7 მოგების წილ, პირველი მარცხი განიცადა. იმ შეხვედრაში გიგამ ტრავმა მიიღო და ეს პერიოდი მკურნალობას მოანდომა. გასულ კვირას კი, რინგზე მისი ნანატრი დაბრუნება შედგა.

ჭიკაძის მეტოქე ალექს კასერესი იყო და ორთაბრძოლის წინ, სპეციალისტები ვერ ამბობდნენ, ვის მხარეს გადაიხრებოდა სასწორი. მართლაც, სამივე რაუნდი დაძაბულად წარიმართა, მაგრამ ფაქტია, რომ სამივე რაუნდში, ქართველი მეტოქეს სჯობდა. შედეგად, მსაჯების ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, დაპირისპირება ჭიკაძემ მოიგო და ახლა 8 გამარჯვების წილ, ერთი მარცხი აქვს.

კვარაცხელიას საგოლე პასი, მიქაუტაძის მეორე და საბას სადებიუტო გოლი

ამერიკულ MLS-ში წასულ საბა ლობჟანიძეს სადებიუტო შეხვედრა ჰქონდა. მისი „ატლანტა იუნაიტედი“, „ნეშვილს“ მასპინძლობდა და 4:0 გაანადგურა. ქართველი შემტევი მოედანზე 61-ე წუთზე შევიდა, თამაშში აქტიურად ჩაერთო და 87-ზე, ქუსლით ულამაზესი გოლი გაიტანა.

ზედიზედ მეორე ტურში, შეაგდო გიორგი მიქაუტაძემ. მისი „მეცი“, „კლერმონს“ სტუმრობდა და შეხვედრის ერთადერთი გოლი, სწორედ ქართველი ფორვარდის ანგარიშზეა. შემდეგ შეხვედრას მიქაუტაძის გუნდი 4 სექტემბერს გამართავს, მაგრამ ძალიან დიდია იმის ალბათობა, რომ იმ დროისთვის, გიორგი ფრანგულ გუნდში აღარ იყოს. სატრანსფერო სეზონი 31 აგვისტოს იხურება და ძალიან გაგვიკვირდება, თუ ასეთი საოცარი სტარტის შემდეგ (3 ტურში 2 გოლი, 1 საგოლე გადაცემა), მისი მსურველები არ გააქტიურდებიან და არ იყიდიან. მიქაუტაძეს ინგლისური პრემიერლიგის კლუბების გარდა, გერმანული გუნდები და... ჰოლანდიური „აიაქსიც“ ეპატიჟება.

რაც შეეხება ხვიჩა კვარაცხელიას. მან ტრავმა მოიშუშა, თუმცა „სასუოლოსთან“ მატჩი თადარიგში დაიწყო და მოედანზე მხოლოდ 61-ე წუთზე გამოჩნდა. შესვლიდან სამ წუთში, ხვიჩამ გუნდის კაპიტან დი ლორენცოს საგოლედ უპასა და მიმდინარე სეზონში, პირველი შედეგიანი გადაცემა ჩაიწერა. ერთი ეგაა, იტალიელი ჟურნალისტები წერენ, ხვიჩა გუნდში თავისი მდგომარეობითა და კონტრაქტის პირობებით უკმაყოფილოა – მაშინ, როცა მისი თანაგუნდელი, ვიქტორ ოსიმენი წლიურად 10 მილიონს იღებს, ხვიჩას ჯამაგირი 1.2 მილიონია. არადა, კვარაცხელია გასული სეზონის საუკეთესო ფეხბურელია და არათუ გუნდში, იტალიის მთელ ჩემპიონატში, გამორჩეული ანაზღაურება უნდა ჰქონდეს. როგორც იტალიელები წერენ, კვარას აგენტი მამუკა ჯუღელი ნეაპოლში უკვე გაფრინდა და კლუბის პრეზიდენტს, სწორედ კონტრაქტის გაუმჯობესების პირობებზე უნდა დაელაპარაკოს.

იტალიაში მოთამაშე გიორგი კვერნაძემ 90 წუთი სათადარიგოთა სკამზე გაატარა, მისმა „ფროზინონემ“ კი საკუთარ მოედანზე, ბერგამოს „ატალანტა“ დაამარცხა.

ესპანეთის ჩემპიონატში პირველი მარცხი განიცადა გიორგი მამარდაშვილის „ვალენსიამ“. „ღამურები“, საკუთარ მოედანზე, „ოსასუნასთან“ 1:2 დამარცხდნენ. მამარდაშვილმა სრულად ითამაშა, ერთი გოლი პენალტით გაუტანეს, მეორე – „მაკრატელა“ დარტყმით და როგორც მთელმა გუნდმა, ისე მანაც საკმაოდ დაბალი შეფასება მიიღო.

რუბიალესი საქმიანობას ფიფა-მ ჩამოაშორა

ქალთა შორის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატი სკანდალით დასრულდა. ესპანეთის ნაკრებმა ინგლისი მინიმალური ანგარიშით, 1:0 დაამარცხა, დაჯილდოების ცერემონიალზე კი, ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, ლუის რუბიალესმა ნაკრების ფეხბურთელს, ჯენიფერ ერმოსოს ტუჩებში აკოცა, შემდეგ კი გასახდელში ჩავიდა და „ზეიმი“ იქაც განაგრძო, ნაკრების წევრებს ეხუტებოდა, კოცნიდა...

მომხდარიდან მალევე, ესპანეთის ქალ ფეხბურთელთა ნაკრების სამწვრთნელო შტაბი სრული შემადგენლობით, პროტესტის ნიშნად გადადგა. გადადგომისკენ მოუწოდეს რუბიალესს ესპანურ ფეხბურთში მოღვაწე სხვა ჩინოვნიკებმა, მაგრამ 45 წლის პრეზიდენტმა კატეგორიული უარი განაცხადა, მომხდარში დანაშაულს ვერ ვხედავ, ეს ყველაფერი სიხარულის გამოხატვის ჩემეული ფორმა იყოო. ფედერაციის პრეზიდენტს გაუნაწყენდნენ ნაკრების სხვა წევრი გოგონებიც და ყველა მათგანმა განაცხადა, რომ ვიდრე რუბიალესი თანამდებობაზე იქნება, ისინი ნაკრებში არ ითამაშებენ.

საქმეში ფიფა ჩაერთო და ვერდიქტიც გამოიტანა – რუბიალესის საქციელს სპეციალური სადისციპლინი კომიტეტი უახლოესი 90 დღის განმავლობაში განიხილავს და ვერდიქტსაც გამოიტანს, მანამდე კი, რუბიალესს არა მარტო პრეზიდენტის პოსტის დაკავება, არამედ, ფეხბურთში ნებისმიერი საქმიანობა აეკრძალა.

გავიხსენოთ, რომ რუბიალესის კოცნამდე, ყველაზე ცნობილი საფეხბურთო ამბორი დიეგო მარადონას ეკუთვნის. გოლის გატანის შემდეგ, როგორც ნაკრებში, ისე კლუბში, ის თანაგუნდელ კლაუდიო კანიჯას ხშირად კოცნიდა.

საქართველოს ნაკრებს ისტორიის (გა)დაწერის შანსი აქვს

საქართველოსთვის ისტორიული მსოფლიოს საკალათბურთო ჩემპიონატი დაიწყო. ჩვენი გუნდი პლანეტის პირველობაზე პირველად თამაშობს და სწორედ ამას უნდა დავაბრალოთ ის, რომ კაპო ვერდესთან შეხვედრაში აშკარად ნერვიულობდნენ. მეტიც, მატჩ ისე დაიწყო, ყველას ეგონა, რომ უსუსური კაპო ვერდე, ჯგუფის ერთ-ერთ ფავორიტს მარტივად დაამარცხებდა და სენსაციასაც გამოაცხობდა, მაგრამ ჩვენები გონს მალე მოეგნენ და 2:8-დან ისე მალე ამოქაჩეს, სასიამოვნოდ გაკვირვებული დავრჩით. ქართველმა კალათბურთელებმა პრაქტიკულად ივარჯიშეს და ჯგუფში უმთავრესი მეტოქის, სლოვენიის წინააღმდეგ ამაღლებული განწყობით გავიდნენ.

სლოვენიელთა რიგებში მსოფლიო ვარსკვლავი, ლუკა დონჩიჩი რომ თამაშობს, კარგად მოგეხსენებათ. პირველ შეხვედრაში, დონჩიჩმა ვენესუელა არ დაინდო და 37 ქულა ჩაუგდო (პირველ ტურში, მსოფლიოს ჩემპიონატზე მოთამაშე კალათბურთელებიდან, ამდენი არავის ჩაუგდია) და შესაბამისად, ჩვენი გუნდის მთავარი მიზანი სწორედ დონჩიჩის შეჩერება იყო. სამწუხაროდ, კითხვაზე „ვინ შეაჩერებს დონჩიჩს?“ პასუხი ვერც საქართველოს ნაკრებთან შეხვედრის შემდეგ გაეცა. დონჩიჩმა ჩვეულად იფრინა და მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო კალათბურთელის შეჩერების შანსი არც ჩვენ გვქონია. ლუკამ 34 ქულა ჩაგვიგდო... სლოვენიამ მოგვიგო, მოგვიგო დიდი ანგარიშით და ყოველგვარი ნერვიულობის გარეშე. ახლა ბოლო ტურის იმედად ვართ. 30 აგვისტოს ვენესულელას ვხვდებით და ბედმა ისე ინება, რომ ვენესუელასთან მარცხის შემთხვევაშიც კი გვაქვს ფლეი-ოფში გასვლის შანსი, მაგრამ ამას არც განვიხილავთ – საქართველომ ვენერსუელას უნდა მოუგოს და ფლეი-ოფშ გარანტირებულად გავიდეს. სწორედ ეს არის ის მაქსიმუმი, რისი გაკეთებაც რეალურად შეგვიძლია, მერე კი... მერე ცოტა იღბალი და ბევრი, ძალიან ბევრი მონდომება გვჭირდება.

მარიამობის სევდა

ვანო პავლიაშვილი

კაფანდარა ქალი იყო ბებიაჩემი, გულმხიარული და უდარდელი. ტკბილეული და მოგზაურობა უყვარდა. ოთხმოცს გადაცილებული გარდაიცვალა; არ უავადმყოფია, ცოტახანს უწრიალია ლოგინში და სული დაულევია – აი, ასე მშვიდად წავიდა მარადიულში...

რომ გითხრათ, დიდად ეკლესიური იყო-მეთქი, მოგატყუებთ. ან ეკლესიური როგორ იქნებოდა – ერთი წლის ყოფილა, ბოლშევიკებს საქართველო რომ გაუწითლებიათ და მთელი ყმაწვილქალობა და მოწიფულობა კომუნიზმისკენ ლტოლვაში გაატარა – კოლმეურნეობაში მუშაობდა, რიგითი კოლმეურნე იყო. მართალია, შრომის გმირობის ლენინისთავიანი ორდენი არასოდეს მიუღია, მაგრამ სამაგიეროდ, ვლადიმერ ილიჩი ხუთჯერ თუ ექვსჯერ ჰყავდა ნანახი – ბიძაჩემმა საბჭოთა სამშობლოსადმი ჯარისკაცული ვალი მოსკოვში მოიხადა. ჰოდა, პროვინციელ ბიჭს მეგაპოლისი, როგორც ჩანს, მოეწონა და... დარჩა... ბებიაჩემი შვილს ხშირად არა, მაგრამ სტუმრობდა ხოლმე და აბა, იქიდან ისე როგორ წამოვიდოდა, მავზოლეუმში არ შესულიყო და ლენინისთვის საპატიო „კრუგი“ არ დაერტყა?!

მოკლედ, იმას ვამბობდი, რომ დიდად ეკლესიური არ იყო. არადა, უნდა ყოფილიყო – ბებიაჩემის ღვიძლი დიშვილი, ჯერ კიდევ 60-იან წლებში, მონაზვნად აღიკვეცა – მცხეთაში, სამთავროს დედათა მონასტერში მსახურობდა. სხვათა შორის, სიკვდილის წინ, ბებიაჩემის დაც, მარიამიც მონაზონი გახდა – შვილთან ერთად, სამთავროშია დასაფლავებული... ბებიაჩემისთვის არასოდეს შემიმჩნევია, ჯვარი ეტარებინა, თუმცა ოთხშაბათ-პარასკევს უეჭველად მარხულობდა. საეკლესიო დღეებში კი, წანდილს ხარშავდა, საკმეველზე მოატარებდა, რამდენიმე ჯამს მეზობლებს მიაწვდიდა და... აუცილებლად სასაფლაოზეც წავიდოდა. მართალია, პაპაჩემი ბუნდოვნად მახსოვს, მაგრამ წესად მქონდა, სასაფლაოზე მიმავალ ბაბოს (ქიზიყში, ბებიას ბაბოს ვეძახით) აუცილებლად უნდა ავტორღიალებოდი...

დიდი კულინარიული ნიჭით არ გამოირჩეოდა – ახალგაზრდობაში, მეზობელ რუსებს ალუბლის „ვარენიკების“ გაკეთება უსწავლებიათ და ამ „რუსულ ნუგბარს“ დიდი ხალისით ამზადებდა ხოლმე. სუპის მოხარშვაც ეხერხებოდა და კიდევ რაღაც წვრილმანი კერძების გაკეთება, მაგრამ სულთმოფენობისა და მარამობის წინა საღამოს, ბებიაჩემი განსაკუთრებული მონდომებით ფუსფუსებდა: სხვა საეკლესიო დღეებისგან განსხვავებით, ბევრად მეტ წანდილს მოხარშავდა; მერე, მეზობელთან გამაქცევდა, მაგას კარგი ყვავილები აქვს, უთხარი, ხვალ სასაფლაოზე მივდივართ და ცოტა ვარდები და პიონები დაგიკრიფოსო. მეც თავქუდმოგლეჯილი და ისეთი საქმიანი გავრბოდი, გეგონება, კომუნიზმის კარი გააღეს და შესვლა უნდა მომესწრო...

გათენდებოდა... ბებიაჩემი წანდილით სავსე ლიტრიან ქილას დაიჭერდა, მე ყვავილების ვეებერთელა თაიგულს ამოვიიღლიავებდი და სასაფლაოსკენ მიმავალ გზას გავუდგებოდით. ძვალშესალაგი იქვე, ჩემი სახლიდან ორ ნაბიჯშია – ამ ადგილს „ფურცლებს“ ეძახიან. ახლა, არ იკითხავთ, „ფურცლები“ რა არის? რა და, – თუთის ქიზიყური დასახელება... სასაფლაო ორნაწილიანია – ახალი და ძველი... პაპაჩემი ახალ სასაფლაოზეა დაკრძალული...

შავ მარმარილოზე შუახნის კაცის პორტრეტია. პორტრეტის ქვეშ წერია: „დიმიტრი პავლიაშვილი; 1905-1982 წ/წ. ოჯახისაგან“. მარმარილოს ქვაზე მეორე პორტრეტის ადგილი ცარიელია. ერთხელ, ბაბოს ამ ცარიელ ადგილზე ვკითხე. მიპასუხა, მე რომ მოვკვდები, მანდ ჩემს სურათს დახატავენო... სასაფლაო ისეა შემოსაზღვრული, რომ მეორე მიცვალებულიც დაეტიოს – ქართულ ტრადიციას, როგორც ჩანს, არც ბებიაჩემმა უღალატა და თავისთვის ადგილი სიცოცხლეშივე „მიიზომა“. ისე, ალბათ, ბედის ირონიაა: ეს წინასწარმიზომილი ადგილი წილად ბებიაჩემს კი არა, მამაჩემს ხვდა – მამა, ბაბოზე, ოთხი-ხუთი თვით ადრე დაიღუპა... მაინც, ბედი ჰქონია – ოთხი შვილიდან, მხოლოდ მამაჩემის სიკვდილს მოესწრო. ორივე მამიდა მოგვიანებით გარდაიცვალა. ბიძაჩემი ცოცხალია...

... ყოველ წელს, მარიამობას, ჩემდაუნებურად, ბავშვობაში ვბრუდები... ამ დღეს, ბებიაჩემი რაღაც სხვანაირად, სხვა ემოციით მენატრება ხოლმე და... საკუთარ თავზე ვბრაზობ, რამეთუ დიდი ხანია, სასაფლაოზე არ ვყოფილვარ...

... ამ დილას ძალიან მომინდა, ყველაფერი ისე ყოფილიყო, როგორც მაშინ, ბევრი წლის წინ: ბაბოს, ყვავილების მოსატანად, მეზობელთან გავეგზავნე, თვითონ კი, წანდილი მოეხარშა და... მერე, სასაფლაოზე წავსულიყავით...

ვიცი, ეს სურვილი არასოდეს ამიხდება, მაგრამ... ბებიაჩემი არ მომკვდარა; ბებიაჩემი გარდაიცვალა – ესე იგი, სადღაც, უსასრულობაში ცხოვრობს... ჰოდა, ტყუილად ვთქვი, არასოდეს ამიხდება-მეთქი – მე ხომ არ ვიცი, იქ, უსასრულობაში რა ხდება?..

დღეს ბებიაჩემი მომენატრა...

დღეს მარიამობაა...

P.S. როცა ეს მინიატურა დავწერე, ბიძაჩემი ცოცხალი იყო... წელიწადნახევრის წინ გარდაიცვალა და ახლა, ბებიაჩემსა და პაპაჩემს ოთხივე შვილი იქ ჰყავთ, თავისთან...

ჰო, ბაბო, პაპა, მამა, მამიდაჩემები და ბიძაჩემი ძალიან მენატრებიან... ამბობენ, რომ ბიძაჩემს ვგავარ...

სევდიანია მარიამობა, ძალიან სევდიანი...

სანელებელი გახდომას უწყობს ხელს

ტეხასელმა სწავლულებმა გაარკვიეს, რომ ილის (კარდამონი) მოხმარება მადას კი აძლიერებს, მაგრამ სამაგიეროდ, წონაში კლებას უწყობს ხელს. ილი საკმაოდ პოპულარული სანელებელია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. მას ბალახის რბილი გემო აქვს, რომელსაც ევკალიპტის, პიტნისა და წიწაკის არომატებიც დაჰკრავს. მკვლევარებმა ექსპერიმენტები ცხოველებზე ჩაატარეს, რომელთა რაციონშიც ილის თესლს სხვადასხვა დოზით უმატებდნენ. აღმოჩნდა, რომ ეს სანელებელი მადას აძლიერებს, თუმცა ამავდროულად, ზრდის ენერგიის ხარჯვას და ამცირებს სხეულის ცხიმოვან მასას. სპეციალისტების თქმით, ადამიანისთვის, რომლის წონაც, პირობითად, 60 კილოგრამია, ილის მიახლოებითი აქტიური დოზა 77 მილიგრამია დღეში. სწავლულების თქმით, კვლევებმა ილის ანთების საწინააღმდეგო თვისებებიც გამოავლინა.

რძე ჭრილობების შეხორცებას აჩქარებს

კალიფორნიის უნივერსიტეტის სწავლულებმა დაადგინეს, რომ ძროხის რძეში შემავალი ნივთიერება – ცილა კაზეინი ჭრილობების შეხორცებას აჩქარებს. მღრღნელებზე ჩატარებული ექსპერიმენტებით დაადგინეს, რომ დაზიანებიდან 15 დღის შემდეგ, კაზეინის სახვევებით შეხვეული ჭრილობები ბევრად უფრო ეფექტიანად შეხორცდა, ვიდრე ჩვეულებრივი სახვევებით. გარდა ამისა, გაირკვა, რომ კაზეინის სახვევები არ არის ტოქსიკური და რძის ცილებით დამუშავებული ჭრილობის გარშემო, იმუნური უჯრედების შემცირებული დონე დაფიქსირდა. აღსანიშნავია, რომ ცილა კაზეინი გვხვდება ძუძუმწოვრების, ყველაზე მეტად კი ძროხის რძეში, სადაც ის სითხის 80%-ს შეადგენს. ბოლო კვევებმა აჩვენა, რომ კაზეინს აქვს ანტიმიკრობული, ანტიოქსიდანტური და ანთების საწინააღმდეგო თვისებები.

ქალაქი – ყველაზე დაბინძურებული ჰაერით

მონიტორინგის სააგენტო IQ Air-ის მონაცემებით, ჩილეს დედაქალაქი სანტიაგო მსოფლიოში ყველაზე დაბინძურებული ჰაერის მქონე ქალაქია. ჰაერის ხარისხის ინდექსი 140-ს შეადგენს, რაც ნიშნავს, რომ მავნეა ბავშვებისა და ხანდაზმულებისთვის, ასევე გულისა და ფილტვების დაავადებების მქონე ადამიანებისა და მათთვისაც, რომლებსაც გარეთ, ღია ცის ქვეშ უწევთ მუშაობა. ამჟამად, მიკრონაწილაკების კონცენტრაცია ჰაერში 10.3-ჯერ აღემატება ჯანდაცის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდებულ ნორმას. ჩილეს დედაქალაქის მცხოვრებლებს ურჩევენ, ქუჩაში ნიღბებით იარონ, ნაკლებად ივარჯიშონ გარეთ, სახლებში დახურონ ფანჯრები და ჰაერგამწმენდებით ისარგებლონ. სამხრეთ ნახევარსფეროში მდებარე ამ ქვეყანაში ახლა ზამთარია, თუმცა ამის მიუხედავად, ცოტა ხნის წინ, წლის ამ პერიოდისთვის, ანომალიურად მაღალი ტემპერატურა – 37 გრადუსი დაფიქსირდა. ეს მაჩვენებელი ზამთრის ნორმალურ ტემპერატურას 15 გრადუსით აჭარბებს.

ლაქტაციის გამო გინესის წიგნში მოხვდა

35 წლის ამერიკელი, ელიზაბეტ ანდერსონ-სირ, გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა, რადგან მან ტონანახევარზე მეტი საკუთარი რძე გაიღო ახალშობილების გამოსაკვებად. როგორც Daily Mail-ი წერს, ჯერ კიდევ 2014 წელს, ახალგაზრდა ქალს იშვიათი ჰიპერლაქტაციის სინდრომის დიაგნოზი დაუსვეს, როდესაც ის პირველ შვილს ელოდებოდა. ორსულობის მე-20 კვირაში, ყოველდღიურად, მისი სარძევე ჯირკვალი 800 მილილიტრზე მეტ რძეს გამოყოფდა. ქალი იძულებული იყო, რძე გამოეწველა. მშობიარობის შემდეგ ელიზაბეტს ლაქტაცია კიდევ უფრო გაუძლიერდა. მედიკოსების თქმით, მის ტვინში არსებული ჰიპოფიზის ჯირკვალი ძალიან ბევრ პროლაქტინს – ჰორმონს გამოიმუშავებს, რომელიც დედის რძის მიღებას ასტიმულირებს. ბავშვის დაბადების შემდეგ, ლაქტაციის დონე თანდათან უბრუნდება ნორმას, თუმცა ელიზაბეტის შემთხვევაში ასე არ მოხდა და შეწუხებულმა დედამ გადაწყვიტა, რძე გამოეწველა, პაკეტებში მოეთავსებინა და იმ ჩვილებისთვის გაეგზავნა, რომლებსაც სჭირდებოდათ. ქალის თქმით, ლაქტაციის ცხრა წლის განმავლობაში (მან კიდევ ორი შვილი გააჩინა), ჯამში, 2 600 ლიტრზე მეტი რძე გაიღო და გინესის რეკორდსმენი გახდა. ელიზაბეტი ამბობს, რომ უმცროსი შვილის კვებას რომ დაასრულებს, ორმაგ მასტექტომიას გაიკეთებს და ორივე სარძევე ჯირკვალს მოიკვეთს.

ყველაზე მსუქანმა ადამიანმა წონაში დაიკლო

ყველაზე მსუქანმა ადამიანმა მსოფლიოში, მექსიკელმა ხუან პედრო ფრანკომ წონაში 330 კილოგრამით დაიკლო. 2016 წელს, ის 595 კილოგრამს იწონიდა და იმდენად მძიმე იყო, რომ მისი აყენება მხოლოდ რვა ადამიანს შეეძლო. ასეთი გიგანტური წონის გამო, ხუანი გინესის რეკორდების წიგნშიც მოხვდა და სწორედ მაშინ გადაწყვიტა, გახდომა. იმ პერიოდში, ხუანს სიარულიც არ შეეძლო და ტუალეტში წასვლის ნაცვლად, პამპერსს ხმარობდა. რამდენიმე ხნის წინ, მექსიკელმა საკუთარი ფოტოები გაავრცელა. მან წონის ნახევარზე მეტი მოიკლო და ახლა ფეხზე მყარად დგას. როგორც თავად აღნიშნავს, გახდომაში ბარიატრიული ოპერაცია, სხვადასხვა დიეტა და მსუქნებისთვის განკუთვნილი სპეციალური ვარჯიშები დაეხმარა.

ყველაზე მაღალი კატა მსოფლიოში

მსოფლიოში ყველაზე მაღალ კატას, სახელად ფენრირს, დამოუკიდებლად შეუძლია კარის გაღება და ასევე, მაგიდასთან ჭამა და არა მასზე ახტომით კვება. ამის შესახებ შინაური ცხოველის პატრონი, უილ პაუერსი აცხადებს. სავანას ჯიშის კატა, მიუხედავად უკვე არსებული ზომებისა, ზრდას კვლავ აგრძელებს. პაუერსი ამბობს, რომ საყვარელ ცხოველს კვებაში ზღუდავს, უფრო დიდი ზომების რომ არ გახდეს. ფენრირი გინესის წიგნის რეკორდსმენია, როგორც „დღეისთვის არსებული ყველაზე მაღალი შინაური კატა“. მისი სიმაღლე (წელზე) 47.83 სანტიმეტრია.

ოჯახური ჰარმონია ასუქებს?



როგორც სწავლულებმა აღმოაჩინეს, მეუღლეთა შორის თბილი ურთიერთობა უარყოფითად მოქმედებს მათ აღნაგობაზე. ფსიქოლოგები ადასტურებენ, რომ საოჯახო ჰარმონია წონაში მატებას იწვევს. ალბათ, მართლაც, ადვილი არ არის, უარი თქვა საყვარელ ადამიანთან ერთად რომანტიკულ ვახშამზე. სპეციალისტები ამბობენ, რომ ბედნიერი ადამიანები სიფხიზლეს კარგავენ – ისინი აღარ აქცევენ ყურადღებას საკუთარ სხეულს და ხშირად მიირთმევენ ზედმეტი კალორიების შემცველ კერძებს. რაც შეეხება წყვილებს, რომლებიც არ არიან კმაყოფილი ქორწინებით, მათ გაცილებით იშვიათად აწუხებთ სიმსუქნის პრობლემა. შეგნებულად თუ შეუგნებლად, ისინი ცდილობენ საპირისპირო სქესის ყურადღება არ მოაკლდეთ და, ამდენად, ცდილობენ, არ მიირთვან ზედმეტი კალორიები და საკუთარი წონა აკონტროლონ.

მოდაშია „ბუდას ყურები“

ვიეტნამში სულ უფრო პოპულარული ხდება კოსმეტიკური პროცედურა, რომელსაც „ბუდას ყურებს“ უწოდებენ. ადგილობრივი მედიის ცნობით, სილამაზის სალონებს უამრავი ადამიანი აკითხავს, რათა ყურის ბიბილოში შემავსებელი შეიყვანონ. აქაურებს სწამთ, რომ ბიბილოს ზომის გაზრდით, ბუდას ყურის მსგავსი ექნებათ, რადგან ჰგონიათ, რომ ამით სიმდიდრესა და წარმატებას მოიზიდავენ. „ბუდას ყურებს“ ყველაზე მეტად 30 წელს გადაცილებული მამაკაცები იკეთებენ, რომელთაც მიაჩნიათ, რომ რელიგია დიდ როლს ასრულებს მათ წარმატებასა და ბიზნესში. თუმცა, მედიკოსები მოსახლეობას აფრთხილებენ, რომ შესაძლოა, მსგავსი ოპერაცია სავალალო შედეგების მომტანი აღმოჩნდეს. მიზეზი იაფფასიანი ჰიალურონის მჟავაა, რომელსაც ეკონომიის მიზნით იყენებენ.

ანანასისგან პლასტმასი მიიღეს

ესპანელმა სწავლულებმა, ალიკანტეს უნივერსიტეტიდან, ანანასის ნარჩენებიდან, როგორც რბილობიდან, ასევე ქერქიდან ახალი მასალა მიიღეს. ესაა პლასტმასის მსგავსი მასალა, რომელიც აქტიურ ბუნებრივ ნაერთებს შეიცავს და ანტიოქსდანტური ეფექტი ახასიათებს. ასეთი მასალისგან შექმნილ კონტეინერში პროდუქტების შენახვის ვადა გაიზრდება. ამჟამად, ექსპერტები ცდილობენ, მასლას არომატის გამაძლიერებელი ნაერთებიც დაუმატონ, რომლებსაც კვლავ ანანასისგან მიიღებენ. მათი აზრით, ადამიანისთვის სასიამოვნო იქნება, პროდუქტების შესანახად ასეთი მასალის გამოყენება. სწავლულების წყალობით, ანანასის ნარჩენებსაც „ახალი სიცოცხლე“ მიეცემა, მით უმეტეს, რომ ის პროდუქტის წონის თითქმის ნახევარს შეადგენს.

ორგანოებს ადამიანის უჯრედებისგან დაამზადებენ



დიდ ბრიტანეთში, სოუნსის უნივერსიტეტის სწავლულები 2.5 მილიონ გირვანქა სტერლინგს დახარჯავენ კვლევისთვის, როგორ გამოიყენონ ადამიანის უჯრედები და მცენარეული მასალა ცხვირისა და ყურების ხრილის 3D-ბეჭდვისთვის. წარმატების შემთხვევაში, ამ ნოვატორულ მეთოდს გამოიყენებენ იმ ადამიანების დასახმარებლად, რომლებიც სხეულის ამ ნაწილების გარეშე დაიბადნენ, ან დამწვრობის, ტრავმისა თუ ონკოდაავადების გამო დამახინჯდნენ. პლასტიკური ქირურგიის სპეციალისტების თქმით, სამგამზომილებიან პრინტერებს შეუძლიათ, დააჩქარონ ოპერაციები, პაციენტებს განწყობა გაუუმჯობესონ და ფინანსური ხარჯებიც შეუმცირონ ქირურგიულ განყოფილებებს. ახალი მეთოდის კლინიკური ცდები უახლოეს წლებში უნდა ჩატარდეს.

ანტიბიოტიკები მეხსიერებას აუარესებენ



სწავლულებმა გაარკვიეს, რომ ანტიბიოტიკების ხანგრძლივმა მიღებამ, შესაძლოა, მეხსიერებას ავნოს. ექსპერიმენტებისას მკვლევარები 210 ლაბორატორიულ თაგვს ჯერ ჩვეულებრივ წყალს აძლევდნენ, მერე კი მასში ანტიბიოტიკებს ურევდნენ. შედეგების გაანალიზებისას აღმოჩნდა, რომ ნაწლავების მიკროფლორის შეცვლასთან ერთად, ცვლილებები მიმდინარეობდა მღრღნელების ჰიპოკამპშიც. გაირკვა, რომ ანტიბიოტიკების ზემოქმედებით, ახალი ნერვული უჯრედების ფორმირება ფერხდებოდა. სწავლულები ამტკიცებენ, რომ შემდგომი ექსპერიმენტებისას, მათ მოახერხეს მეხსიერების ფორმირების უნარის აღდგენა ნაწლავური მიკლოფლორის აღდგენით და ფიზიკური აქტივობით.

უფსკრულის თავზე იქორწინეს

ბევრი წყვილისთვის თავად ქორწილია თავბრუდამხვევი და სულისშემძვრელი მოვლენა. სწორედ ასეთი სადღესასწაულო ცერემონია ჰქონდათ ამერიკელ რაიან ჯენსკსა და კიმბერლი უიგლინს, რომელთაც ეს დღე ნამდვილად დაუვიწყარად აქციეს – მათ უფსკრულის თავზე იქორწინეს, რათა ამის შემდეგ, ერთობლივი ცხოვრებისას, საერთოდ აღარაფრის შიში ჰქონდეთ. წყვილმა ცერემონია კალიფორნიაში, იუტას შტატში მდებარე კლდეებზე დაგეგმა, სადაც კლდეზე ცოცვის ფესტივალზე, ერთმანეთი გაიცნეს.

„დაქორწინება კანიონის თავზე – ეს ნდობის, ენერგიის, სიყვარულის დემონსტრირებაა, რომლითაც გვინდა, მთელი ცხოვრება ერთად გავატაროთ“, – ამბობს პატარძალი. ცერემონიის დასრულების შემდეგ, მათი ათიოდეს მეგობარი და ხელისმომკიდეები, კლდიდან პარაშუტით გადახტნენ და უფსკრულში ყვავილების ფურცლები გადაყარეს.

ქალებს თეთრი ღვინო აბედნიერებთ

ესპანელმა სწავლულებმა, მადრიდის პოლიტექნიკური უნივერსიტეტიდან, გარკვიეს, რომ სუსტი სქესის წარმომადგენლები თავს უფრო ბედნიერად გრძნობენ, როცა თეთრ ღვინოს მიირთმვენ. ჩატარებული კვლევებისას დადგინდა, რომ ხილისა და ყვავილოვანი თეთრი ღვინო აძლიერებს ისეთ ემოციებს, როგორებიცაა სიხარული და ბედნიერება. წითელი ღვინის მოხმარება კი, შესალოა, უკავშირდებოდეს აგრესიასა და დანაშაულის გრძნობას. ასეთი დასკვნების გაკეთება სპეციალისტებმა ექსპერიმენტის შემდეგ შეძლეს, რომელშიც 200-ზე მეტი ქალბატონი მონაწილეობდა. მათ ექვსი თეთრი, ვარდისფერი და წითელი ღვინო დააგემოვნეს და ამ სასმელებით მიღებული ემოციები აღწერეს. შედეგად გაირკვა, რომ ბედნიერების შეგრძნებას ყველაზე მეტად თეთრი ღვინო იწვევს.

ტურისტებს ციხეში ჩაჯდომას სთავაზობენ



დიდ ბრიტანეთში, ტურისტებს ერთი დღით პატიმრობას სთავაზობენ. ტურ-ოპერატორები მსურველებს ციხის ცხოვრების „შიგნიდან“ გაცნობას სთავაზობენ და სომერსეტის საგრაფოშიო მდებარე შეპტონ-მოლეტის ციხეში, გისოსებს მიღმა დარჩენას ურჩევენ. ამ უჩვეულო ტურის ღირებულება მხოლოდ 49 გირვანქა სტერლინგია. მასში შედის კვება – პატიმრისთვის გათვალისწინებული მენიუთი და ღამისთევა ერთადგილიან კამერაში. „შეპტონ-მოლეტი“ ყველაზე ცნობილია ციხეა ნისლიან ალბიონზე. აქ ადრე ყველაზე საშიშ დამნაშავეებს ამწყვდევდნენ. ამ ციხემ პირველი პატიმრები ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში, კერძოდ, 1626 წელს მიიღო. 2013 წელს, დაწესებულება დახურეს და ტურისტულ ცენტრად გადააკეთეს.

კიტრი ინფექციების წინააღმდეგ

ყველასთვის ნაცნობი და საყვარელი პროდუქტი – კიტრი სასარგებლო საკვებია არა მხოლოდ ზაფხულში, არამედ, ის ადამიანის რაციონის განუყრელი ნაწილი უნდა გახდეს ინფექციური დაავადებების ეპიდემიის დროს. კიტრი შეიცავს ძლიერ ანტიოქსიდანტებს, რომლებიც ორგანიზმს ეხმარებიან საშიში, თავისუფალი რადიკალებისგან დაცვაში. კიტრის მოხმარებამ გაციების, გრიპის, კორონავირუსის ეპიდემიის დროს, შესაძლოა, ორგანიზმს ძლიერი დახმარება გაუწიოს და დაავადების წინააღმდეგ მისი ბრძოლისუნარიანობა გაზარდოს, – მიაჩნიათ სპეციალისტებს. კიტრი მოქმედებს, როგორც შარდმდენი საშუალება და ხელს უწყობს ორგანიზმიდან ტოქსინების გამოდევნას. ეს ბოსტნეული შეიცავს კუკურბიტაცინებს – ნაერთებს, რომლებიც მას ერთგვარ სიმწკლარტეს ანიჭებენ. სწორედ ეს ნივთიერება უწყობს ხელს ნივთიერებათა ცვლისა და სისხლში შაქრის დონის დარეგულირებას. კიტრში არის სტეროლები, რომლებიც ქოლესტერინის დონის დაქვეითებაზე მუშაობენ.

ყველაზე ძვირადღირებული ყველი ღორისაა?

ცოტა ხნის წინ, პლანეტაზე, ყველაზე ძვირადღირებული ყველი სერბიაში, ვირის რძისგან დამზადებული „პულე“ იყო. ერთი კილოგრამი ამ ყველის ფასი 1 300 დოლარია. ახლა, ეს ტიტული, შესაძლოა, სხვა ცხოველისგან მიღებულ პროდუქტს ერგოს – ჰოლანდიელმა ფერმერმა, ერიკ სტენინკმა ყველის მცირე პარტია დაამზადა, რომელიც იშვიათობითა და ძვირი ფასით, „ვირის ყველს“ გაუწევს კონკურენციას. ნედლეულად ფერმერმა ღორის რძე გამოიყენა. ამჟამად, მსოფლიოში პირველი „ღორის ყველი“ შესანახად ანუ დასაძველებლადაა გაგზავნილი, რათა მისი გემო და კონსისტენცია უფრო გაკეთილშობილდეს. ჯერჯერობით, ფერმერი საიდუმლოდ ინახავს, რა გემო აქვს მის ყველს. ის აუქციონზე, სასტარტო ფასით – 1 500 ევრო 450 გრამი – გაიყიდა. ღორის ყველი ანონიმმა მყიდველმა შეიძინა, ხოლო აუქციონიდან მიღებული თანხა, ერიკმა ავადმყოფი ბავშვების ფონდს ჩაურიცხა. ფერმერი მზადაა, ამჯერად, ერთი კილო ყველი დააამზადოს ღორის რძით, თუკი შეკვეთა იქნება და თუ მსურველი მასში 2 300 დოლარს გადაიხდის. ასე რომ, ღორის ყველი მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული და იშვიათი აღმოჩნდება.

ნიკოტინის პრეზერვატივები მოწევის გადასაჩვევად

შვედმა სწავლულებმა მოწევისგან თავის დასაღწევად საკმაოდ ექსტრავაგანტული მეთოდი მოიფიქრეს. ნიკოტინის პლასტირების, საღეჭი რეზინებისა თუ ელექტრონული სიგარეტის ნაცვლად, ისინი ნიკოტინური პრეზერვატივების გამოყენებას გვთავაზობენ. მკვლევარები ვარაუდობენ, რომ ეს არა მხოლოდ უარს გათქმევნებთ მავნე ჩვევაზე, არამედ, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებებისა და დაუგეგმავი ორსულობისგანაც დაგიცავთ. სიახლის ავტორების თქმით, პრეზერვატივი ორგანიზმს ნიკოტინის გარკვეულ დოზას მიაწვდის. აღსანიშნავია, რომ კომპანია Pharmacia Latex Aktiebolaget-თვის, რომელმაც სიახლე დაამზადა, ეს ექსპერიმენტი პირველი არ არის – ადრე ისინი პრეზერვატივებს ყავის მოყვარულებისთვისაც უშვებდნენ, კოფეინის შემცველობით.

„ოქროს“ ლიპოსაქცია გახდომის მსურველებისთვის

ლიპოსაქციის პრინციპულად ახალი მეთოდიკა შეიმუშავეს კალიფორნიის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა – მას ოქროს ნანონაწილაკების გამოყენებით ატარებენ და ამ პროცედურას NanoLipo უწოდეს. უფრო ადრე, მედიკოსებმა ჩაატარეს კვლევა, რომლის დროსაც, ოქროს ნანონაწილაკებს სიმსივნის შიგნით ათავსებდნენ, შემდეგ კი მას ინფრაწითელი გამოსხივებით აცხელებდნენ. შედეგად, კიბოს უჯრედები ეფექტურად იშლებოდა, ჯანმრთელი კი დაუზიანებელი რჩებოდა. ახლა, ზუსტად მსგავს პროცედურას სწავლულები ცხიმოვან ქსოვილთან დაკავშირებითაც გვთავაზობენ. ახალი მეთოდიკით, ნანონაწილაკები შეჰყავთ ცხიმდაგროვების ზონაში, შემდეგ კი პაციენტის სხეულის ეს ნაწილი ინფრაწითელი შუქით ცხელდება. რადგან ცხიმი შედარებით დაბალ ტემპერატურაზე დნება, ქსოვილების სხვა უჯრედები ვერ ასწრებენ დაზიანების მიღებას. შემდეგ, ლიპოსაქციის ნემსის მეშვეობით, სპეციალისტები გამდნარ ცხიმს ამოქაჩავენ. ექიმების მტკიცებით, ლიპოსაქციის ასეთი მეთოდი გაცილებით უსაფრთხოა ორგანიზმისთვის. ტრადიცული პროცედურებისას, სპეციალისტს ნემსი მკვრივ ცხიმში შეჰყავს და მისი ამოტუმბვა გვერდით არსებულ ქსოვილებსაც აზიანებს. ჯერჯერობით, ახალ ტექნოლოგიას სწავლულები აქტიურად სცდიან ცხოველებზე, მაგრამ როგორც ვარაუდობენ, უკვე წლის ბოლოს, კლინიკურ ცდებსაც ჩაატარებენ.

უპილოტოები შიმშილით სიკვდილისგან გვიხსნის

შვეიცარიელმა სწავლულებმა, ლოზანას ტექნოლოგიური ინსტიტუტიდან, უპილოტო საფრენი აპარატი შექმნეს, რომლის კონსტრუქციის ნაწილი საკვებად ვარგისი მასალისგან ააწყვეს. მისი მიზანი იმ ადამიანების გადარჩენაა, რომლებიც საგანგებო სიტუაციებში აღმოჩნდებიან – დამატებითი კალორიები მათ მაშველების მისვლამდე გაძლებაში დაეხმარება. აპარატს საჭმეელად ვარგისი ფრთები აქვს, რომელიც ბრინჯის ფქვილისგანაა დამზადებული. სპეციალისტების აზრით, ასეთი უპილოტოები ეფექტიანი იქნება იმ ადგილებში საკვების მისაწოდებლად, სადაც გარკვეული მიზეზების გამო, მისი მიღება ჭირს. ამ მომენტისთვის, მკვლევარები მუშაობენ, რაც შეიძლება მეტი არასაკვები მასალა შეცვალონ საკვებად ვარგისით და კონსტრუქციაში წყლისთვის განკუთვნილი რეზერვუარიც ჩაამატონ.

ღეროვან უჯრედებს ახალი მეთოდით მიიღებენ



ჩინეთის მეცნიერებათა აკადემია, განაცხადა, რომ მათმა სწავლულებმა ღეროვანი უჯრედების გადაპროგრამებისა და ინდუცირებული ღეროვანი უჯრედების, ანუ არაემბრიონული მასალისგან მიღების ახალი მეთოდი აღმოაჩინეს. ცოტა ხნის წინ ჩატარებული კვლევები ცხადყოფს, რომ აუტოფაგია – უჯრედების გენერირების პროცესი არ ასრულებს ისეთ მნიშვნელოვან როლს გადაპროგრამებაში, როგორც ეს ადრე მიაჩნდათ. აუტოფაგია, ანუ უჯრედის მიერ საკუთარი ტავის შთანთქმა – ეს უჯრედული კომპონენტების ნაწილობრივი დეგრადირების პროცესია, რაც შიმშილით ან დაზიანებით არის გამოწვეული იმისთვის, რომ შემდგომ დანაკლისს ტავი ავარიდოთ. ის უჯრედები, რომლებიც არ დაემორჩილნენ აუტოფაგიას, გაცილებით ეფექტურად გადაპროგრამირდებიან და მათ ნორმალური თვისებები აქვთ, – აცხადებენ ჩინელი ბიოლოგები.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.